თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

# P.S.

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

„ამ დრომდე უცნობია, თვითმმართველობის ახალი კოდექსით ფინანსები და ქონება როგორ გადაეცემათ მუნიციპალიტეტებს“



იხილეთ მე-3 გვერდზე

„გვპირდებოდნენ, რომ დაგვეხმარებოდნენ, მაგრამ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ყველა დაპირება დაივიწყეს“




იხილეთ მე-2 გვერდზე

№ 36 (686) 16 - 22 დეკემბერი, 2013 გამოდის 1995 წლიდან ფასი: 70 თეთრი

PSnews.ge

ეწვიეთ გაზეთ „P.S.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

# წერილი ციხიდან: „დღესაც მცემენ, მაგინებენ და მაფურთხებენ!..“



პატიმარი გაგა არზიანი დახმარებას ითხოვს

იხილეთ მე-4 გვერდზე

## „ალდაგი ბისიაი“ სახელმწიფოსა და ბენეფიციარებს შორის საბოტაჟის მოწყობას ცდილობს?

### „არ ანდო შენი ჯანმრთელობა ალდაგს!“, „ალდაგი – სიცრუის მანქანა!“ – ლოზუნგები ექიმების აქციიდან!

**სადაზღვევო ბაზარზე მყოფ სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბისიაის“ დავალიანება არაერთხელ გამხდარა სამედიცინო დაწესებულებების უკმაყოფილების მიზეზი. აღნიშნულ სადაზღვევო კომპანიას ამჯერად ქუთაისში მოქმედი შპს „დასავლეთის ინფექციურ დაავადებათა ცენტრი — მედიქალ სითის“ ადმინისტრაცია უპირისპირდება.**

არსებული დავალიანების გამო უკმაყოფილო სამედიცინო პერსონალმა 10 დეკემბერს გამაფრთხილებელი აქცია გამართა და კუთვნილი ხელფასების დარიგება მოითხოვა. „მედიქალ სითის“ ადმინისტრაციის ინფორმაციით, „ალდაგს“ ამ დროისთვის კლინიკის 118 000 ლარიანი დავალიანება აქვს.

გამაფრთხილებელი აქციის შემდგომ, „მედიქალ სითის“ ბრალდებებს „ალდაგი ბისიაის“ ხელმძღვანელობა გამოეხმაურა. მათი განცხადებით, „მედიქალ სითისთან“ არსებული დავალიანება იმის მიზეზია, რომ კლინიკის ადმინისტრაცია მათ სარევიზიო სამსახურს დაწესებულებაში სამუშაოდ არ უშვებს, რის გამოც შეუმოწმებელია „მედიქალ სითის“ მიერ რეალურად შესრულებული სამუშაოები.

„ალდაგი ბისიაის“ ოფიციალური წარმომადგენლის ამ განცხადებას „მედიქალ სითის“ ადმინისტრაციის და მედპერსონალის უკმაყოფილება მოჰყვა, რის გამოც, მათ 11 დეკემბერს სადაზღვევო კომპანიის ქუთაისის ოფისთან კვლავ აქცია გამართეს და „ალდაგი“ სიცრუეში დაადანაშაულეს.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

## ქუთაისში მიუსაფართათვის დროებითი თავშესაფრები მოეწყობა



იხილეთ მე-2 გვერდზე

## ფესტივალ „ნიღაბი 2013“-ის ორგანიზატორთა რჩეული ქუთაისელი ზანდა ბოტიაშვილი გახდა



იხილეთ მე-7 გვერდზე

## იმერეთის გუბერნატორად ზაზა მეფარიშვილი დაინიშნა

იხილეთ მე-2 გვერდზე

## უკრაინელების მხარდასაჭერი აქცია ქუთაისში

იხილეთ მე-2 გვერდზე

ხალხის აზრი

## რას ფიქრობენ ქუთაისელები პარლამენტში მომხდარ ფიზიკურ დაპირისპირებაზე

იხილეთ მე-2 გვერდზე

ეკა ბესელია:

## „მთავარ პრობლემად მაინც რჩება უკანონო პატიმრობა და საკუთრების უფლების აღდგენა“

იხილეთ მე-4 გვერდზე

## „ახალი კოდექსი მეტ ცენტრალიზაციას ახდენს, ვიდრე წინა ხელისუფლების დროს იყო“

იხილეთ მე-5 გვერდზე

ქიმერიონი
qimerioni.ge
წიგნების მაღაზია
მისამართი: ქუთაისი, „პოპული“;
ტელ.: 790 927 927.
წიგნები შენ გელოდება!
ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „პოპული“, წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ.: (790) 927 927.

PSnews.ge

ISSN 1987-7056

სკანვორდი — გვ. 7 ჰოროსკოპი — გვ. 7

## უკრაინელების მხარდასაჭერი აქცია ქუთაისში

**„თავისუფლება უკრაინას", „STOP RUSSIA" – ამ სახელწოდებით უკრაინის ხალხის მხარდასაჭერი აქცია გაიმართა 13 დეკემბერს ქუთაისში, მესხიშვილის თეატრთან. აქციის ორგანიზატორი არასამთავრობო ორგანიზაციის „თავისუფალი ზონა" ქუთაისის ფილიალის წევრები არიან. აქციის მონაწილეების განცხადებით, ისინი გმობენ უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს და სოლიდარობას უცხადებენ უკრაინელ ხალხს.**

„ჩვენი მიზანია, მხარი დავუჭიროთ უკრაინელებს თავისუფლებისთვის ბრძოლაში. უკრაინა არის კარგი მაგალითი საქართველოსთვის. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაშიც შეინიშნება ისეთი ფაქტები, რამაც დღეს უკრაინა მიიყვანა ამ მდგომარეობამდე. მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას, არ გადაუხვიოს ევროკავშირისკენ მიმავალ გზას, რათა საქართველოც არ აღმოჩნდეს უკარაინის მდგომარეობაში," — აღნიშნა „თავისუფალი ზონის" ქუთაისის ორგანიზაციის წარმომადგენელმა **ელისო კეთილაძემ.**

თეატრის წინ „თავისუფალი ზონის" წევრებთან ერთად რიგითი მოქალაქეები და ქუთაისის საკრებულოს „ნაციონალი" დეპუტატი გია გოქაძე იმყოფებოდა.

„მე ღიად ვაფიქსირებ და ვუჭერ მხარს უკრაინელ ხალხს, რის გამოც, აგერ უკვე ორი კვირაა, საკრებულოს სხდომებს უკრაინის ფერებში გაწყობილი დროშით ვესწრები. მოვუწოდებ ხელისუფლებას, არ გადაიყვანოს ქვეყანა იმ გზიდან, რასაც ევროკავშირი ჰქვია," — განაცხადა **გია გოქაძემ.**

**ნესტან ჩაგელიშვილი**
psnews.ge

**მთავარი რედაქტორი:**
ნატო გუბელაძე

**ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:**
ნესტან ჩაგელიშვილი

**დიზაინი:** ირმა ბახუტაშვილი

**ოპერატორი და კორექტორი:**
ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

**R — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე**

**გამომცემელი** — შპს „P.S."
(„პოსტსკრიპტუმი").
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი:
**UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)**
**პ - 658**
**P - 86**

**მისამართი:** ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ა. პრესის სახლი.

- (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
- psnews27@gmail.com
- www.psnews.ge

# იმერეთის გუბერნატორად ზაზა მეფარიშვილი დაინიშნა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 13 დეკემბერს ახალი გუბერნატორები წარადგინა. კახეთის გუბერნატორი იქნება ირაკლი შიოლაშვილი, შიდა ქართლის გუბერნატორი – ზურაბ რუსიშვილი; ქვემო ქართლის გუბერნატორი – გიორგი მღებრიშვილი; სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი – ლევან შონია; მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი – ნუგზარ ყიფიანი; სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი – აკაკი მაჭუტაძე; გურიის გუბერნატორი – გიორგი ჩხაიძე; რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის გუბერნატორი – პარმენ მარგველიძე, ხოლო იმერეთის გუბერნატორად ზაზა მეფარიშვილი დაინიშნება, რომელიც შსს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს დასავლეთის რეგიონალურ სამსახურს ხელმძღვანელობდა.

ზაზა მეფარიშვილი დაბადებულია 1966 წელს. ჰყავს მეუღლე და ორი მცირეწლოვანი ვაჟი. იგი ინჟინერ-ტექნოლოგია, აქვს ბუღალტერ-ფინანსისტის კვალიფიკაცია, აქვს საფინანსო საქმიანობის გამოცდილება, ასევე სამართალდამცავ სტრუქტურებში მუშაობის გამოცდილება.

გუბერნეტორებმა პოსტები ჯერ კიდევ მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს დატოვეს. იმერეთში ბოლოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული ვახტანგ ბალავაძე იყო.

# „გვპირდებოდნენ, რომ დაგვეხმარებოდნენ, მაგრამ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ყველა დაპირება დაივიწყეს"

**ქუთაისში პარლამენტთან იპოთეკით დაზარალებულთა აქცია თითქმის ყოველ კვირაში იმართება. 10 დეკემბერს აქციის მონაწილეებმა პარლამენტში შეჭრა სცადეს, რასაც დაცვასა და დაზარალებულებს შორის დაპირისპირება მოჰყვა. აქციის მონაწილეები დავით უსუფაშვილსა და ეკა ბესელიასთან შეხვედრას მოითხოვდნენ. სამწუხაროდ, პარლამენტიდან მათ მოთხოვნას დეპუტატები არ გამოეხმაურებიან.**



„P.S. ფოტო" (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

„ყველაფერი წაგვართვეს, სახლკარი წაგვართვეს, არაფერი დაგვიტოვეს, ესენი კი ჩვენ მიერ გადახდილი ფულებით თვითონ ხელფასებს იღებენ და კეთილდღეობას იწყობენ. ხელისუფლებაში რომ მოდიოდნენ და ხალხს ხმას თხოვდნენ, კარგად იცოდნენ, რა დღეში იყვნენ ადამიანები. მაშინ გვპირდებოდნენ, რომ დაგვეხმარებოდნენ, მაგრამ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ყველა დაპირება დაივიწყეს, დასაკარგი არაფერი გვაქვს, ჩვენ ამ ამბავს შევეწირებით, თუკი ყურადღებას არ მოგვაქცევენ, გადავკეტავთ კარებს და პარლამენტში არავის შევუშვებთ," – განაცხადა აქციის მონაწილემ **ირმა კერვალიძემ.**

პარლამენტის წინ შეკრებილებს მხოლოდ „ქართული დასის" ლიდერი ჯონდი ბაღათურია, „თავისუფალი საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილე ალეკო შავგულიძე და „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" წევრები შეხვდნენ, რომლებიც იმ დროს ქუთაისში, პარლამენტში, თვითმმართველობის კანონპროექტში შესატანი ცვლილებების საკომიტეტო განხილვებისათვის იყვნენ ჩამოსული.

13 დეკემბერს კი იპოთეკით დაზარალებულებს პარტია „თავისუფალი საქართველოს" ლიდერები შეხვდნენ, რომლებიც სპეციალური კანონპროექტის შემუშავებას და პარლამენტისთვის წარდგენას აპირებენ.

„აქამდე გვატყუებდნენ, რომ გამოიძიებენ ყველას საქმეს, მიიღებდნენ კანონს, გაგვიკეთებდნენ შეღავათს და ასე შემდეგ, თუმცა, როგორც გაირკვა, ბიუჯეტში არანაირად არ გაგვითვალისწინებენ. ჩვენც ამ ქვეყნის შვილები ვართ და ხელისუფლება ვალდებულია, მოგვხედოს და გამოგვიყვანოს გასაჭირიდან. გადახედონ ყველას საქმეს და ამ ყაჩაღ ბანკირებს პასუხი აგებინონ თავიანთ დანაშაულზე, გაარკვიონ, ვინ აფარებს მათ ხელს. დაბალპროცენტიან და გრძელვადიან სესხებს ვითხოვთ და არა ჩუქებას," – განაცხადა შეხვედრის შემდეგ დაზარალებულმა **მარინა სუპატაშვილმა** გაზეთ „P.S."-სთან საუბრისას.

„არც პირველ ოქტომბრამდე და არც შემდეგ, ვერ მოხდა ამ პრობლემის გადაწყვეტა. პირიქით, „ოცნების" ლიდერებმა ვეტო დაადეს გედევან ფოფხაძის კანონს, რაც ვალების რესტრუქტურიზაციას ითვალისწინებდა. მთავრობას არ აქვს თანხებიო, გაიძახიან. ამ დროს კი მარგველაშვილს გაეზარდა ხელფასი, ასევე ყველა პოლიციელს, პროკურორს და ასე შემდეგ. ამისათვის აიღეს შიდა ვალი 600 მილიონი და ამ ხალხის დასახმარებლად კი თანხები ვერ მოიძებნა," – განაცხადა **კახა კუკავამ.**

კახა კუკავას განცხადებით, ისინი არ აპირებენ უკან დახევას. დაგეგმილი აქვთ, შეაგროვონ 30000 ამომრჩევლის ხელმოწერა იმისათვის, რომ ინიცირებული იქნეს კანონპროექტი, რასაც იანვრის სესიაზე წარადგენენ საქართველოს პარლამენტში.

**ჟანა ჯანელიძე**
psnews.ge

## ქუთაისში მიუსაფართათვის დროებითი თავშესაფრები მოეწყობა

**პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, საქართველოში მცხოვრებ მიუსაფართათვის თავშესაფრები მოეწყობა. აღნიშნულ თავშესაფრებში უსახლკაროდ დარჩენილ ადამიანებს ზამთრის განმავლობაში შეეძლებათ დარჩენა. მათთვის დაიდგმება საწოლები და უზრუნველყოფილნი იქნებიან კვებითაც.**



კარვები მიუსაფართათვის თბილისში

უსახლკაროთათვის კარვის ტიპის თავშესაფრები მოეწყობა ქუთაისშიც. მერიის საბინაო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის კახა დალაქიშვილის განცხადებით, თავშესაფრებს ცენტრალური ხელისუფლება მოაწყობს, ადგილობრივი თვითმმართველობა მხოლოდ ადგილის შერჩევასა და უსახლკაროთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს.

„ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად უკვე მიმდინარეობს მუშა პროცესი, სად შეიძლება სამხედრო ტიპის კარვების გაშლა. ჩვენი სოციალური სამსახურიდან მივაწოდებთ მიუსაფართა რაოდენობის შესახებ ინფორმაციას. ქუთაისში უშუალოდ ქუჩაში მცხოვრებთა კონტინგენტი დიდი არ არის, სადღაც 20 კაცამდე. რამდენადაც ამ დროისთვის არის ცნობილი, ეს ადამიანები უზრუნველყოფილნი იქნებიან კვებითაც. რამდენიმე დღეში გვექნება ზუსტი ინფორმაცია ამ ადამიანებისა და გასაშლელი კარვების რაოდენობის შესახებ," — აღნიშნა **კახა დალაქიშვილმა.**

**ნესტან ჩაგელიშვილი**
psnews.ge

## ხალხის აზრი

### რას ფიქრობენ ქუთაისელები პარლამენტში მომხდარ ფიზიკურ დაპირისპირებაზე

**საქართველოს პარლამენტში 11 დეკემბერს ინცინდენტი მოხდა. დეპუტატებს შორის ფიზიკური შეხლა-შემოხლა მას შემდეგ დაიწყო, რაც პარლამენტარმა სოსო ჯაჭვლიანმა უმცირესობის წევრ გიორგი ბარამიძეს შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართა:**
**„ნუ ბლატაობ, შე ჩმორო" — უთხრა ჯაჭვლიანმა ბარამიძეს. პარლამენტის თავმჯდომარის მოთხოვნით მას მიკროფონი გამოურთეს. დარბაზში კი დეპუტატებს შორის ფიზიკური დაპირისპირება დაიწყო.**
**რას ფიქრობენ ქუთაისელები საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში მომხდარ ინციდენტზე? მათი უმრავლესობა თვლის, რომ პარლამენტი საბავშვო ბაღს დაემსგავსა. ბევრს შევარდნაძის დროც ახსენდება...**

**ემზარ გოგლიჩიძე:** „ასეთი ამბავი შევარნაძის დროს ხდებოდა. ისე იქცევიან, თითქოს საბავშვო ბაღის ბავშვები არიან. სამარცხვინოა ეს ყველაფერი! მე, პირადად, უსუფაშვილის ადგილზე, ერთი თვით დისკვალიფიკაციას მივცემდი ორივეს და შემდეგშიც გაითვალისწინებდა ყველა."

**ლია გაბესკელიანი:** „დაუშვებელია მსგავსი ინცინდენტები საკანონმდებლო ორგანოში, ხალხს „საკონცერტო ნომრებს" რომ ანახებენ, სჯობს, საქმე გააკეთონ. ესეთი შემთხვევა აღარ უნდა განმეორდეს და თუ მაინც მოხდება, აუცილოებლად უნდა დაისაჯოს დამნაშავე."

**ლიანა ზამბახიძე**: „ის, რაც მოხდა, სამარცხვინოა. სხვა ქვეყნების მაგალითებით ამართლებდნენ ამ დაპირისპირებას პარლამენტში, განა ასეთი საქციელით უნდა მივბაძოთ სხვა სახელმწიფოებს? კარგი ჩვევები გადმოიღონ სხვებისგან და პატარა ბავშვებივით კინკლაობას, ურჩევნიათ, რამე კარგი გააკეთონ ქვეყანაში."

**ნატო მაისურაძე:** „შევარდნაძის დროს ასეთი შემთხვევები ძალიან ხშირად ხდებოდა, ტატამს ჰგავდა პარლამენტი და ახლა, როცა განვითარებულობაზე გვაქვს პრეტენზია და გვეამაყება, რომ ვისწავლეთ ჭეშმარიტი მსჯელობა, ასეთი ამბავი ხდება. ეს ნამდვილად არ არის პროგრესის მანიშნებელი. მე, პირადად, მრცხვენია, რომ მსგავს „ცირკს" ვუყურე. უსუფაშვილს უნდა გაეძევებინა ორივე სხდომათა დარბაზიდან."

**ტარიელ მიმინოშვილი:** „სასაცილოა ეს ყველაფერი, დაბრუნდა ძველი დრო და ასეთი ინცინდენტები ჯერ მხოლოდ ახლა დაიწყო. არცერთი არ უნდა გაეჩერებინა პარლამენტის თავმჯდომარეს დარბაზში, ან ჯარიმა უნდა დააწესონ, შემდეგში რომ აღარ მოხდეს მსგავსი სამარცხვინო ფაქტი."

**ჟანა ჯანელიძე**

# „ალდაგი ბისიაი" სახელმწიფოსა და ბენეფიციარებს შორის საბოტაჟის მოწყობას ცდილობს?

## „არ ანდო შენი ჯანმრთელობა ალდაგს!", „ალდაგი – სიცრუის მანქანა!" – ლოზუნგები ექიმების აქციიდან!

**პირველი** გვერდიდან

„არ ანდო შენი ჯანმრთელობა ალდაგს!", „ალდაგი სიცრუის მანქანა!" — ამ ლოზუნგებით აქციის მონაწილეებმა გააფრთხილეს საზოგადოება. კლინიკის დირექტორის მოადგილე, გია გრძელიძე კი აცხადებს, რომ პრიორიტეტულად მიჩნეული „ალდაგი ბისიაი" სახელმწიფოსა და ბენეფიციარებს შორის საბოტაჟის მოწყობას ცდილობს, რაც გულისხმობს იმას, რომ „ალდაგში" დაზღვეული ბენეფიციარები არასრული მომსახურეობის გამო, უკმაყოფილებას სახელმწიფოს მისამართით გამოთქვამენ.

**რამდენი თვის დავალიანება აქვს სადაზღვევო კომპანიას დასაფარი და რა ქმედითი ღონისძიებების გატარებას აპირებს „მედიქალ სითის" ადმინისტრაცია, იურიდიულად აღიარებული დავალიანების მისაღებად, აღნიშნულის შესახებ „მედიქალ სითის" დირექტორის მოადგილე გია გრძელიძე გაზეთ „P.S."-სთან საუბრობს.**



გია გრძელიძე

„P.S. ფოტო" (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

— სადაზღვევო ბაზარზე მყოფი კომპანია „ალდაგი ბისიაი", რომელიც არაკონკურენტუნარიან გარემოში პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ყოველნაირად ხელს უშლის საქართველოს ხელისუფლებას, მის მიერ დაგეგმილი რეფორმების განხორციელებაში. სამედიცინო ჯანდაცვის სფეროში არსებული პროგრამებით მოსარგებლე ბენეფიციარების უკმაყოფილების მიზეზების მთავარი ინიციატორი სწორედ ეს სადაზღვევო კომპანიაა. აღსანიშნავია, რომ „ალდაგი" ხელოვნურად ქმნის პრობლემებს სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის.

ამ დროის მონაცემებით, „ალდაგი ბისიაის" ივლისიდან ოქტომბრის ჩათვლით აქვს „მედიქალ სითის" დავალიანება, რაც, საერთო ჯამში, 113000-დან 118000 ლარამდეა. რაც შეეხება ნოემბერს, ამ თვის შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება ჯერ არ დასრულებულა. სამწუხაროდ, მათი ეს ქმედება პირდაპირ დამოკიდებულებაშია მედპერსონალის გაუცემელ ხელფასებთან. ჩამოურიცხავი თანხების გამო, ბიუჯეტი რჩება საშემოსავლო გადასახადის გარეშე, ხელფასების გაუცემლობასთან ერთად, ვერ ხერხდება მედიკამენტების, საჭირო ინვენტარისა და კომუნალური გადასახადების შეძენა-დაფარვა.

აღსანიშნავია, რომ ეს არის იურიდიულად აღიარებული დავალიანება, რომელსაც თავად აწერენ ხელს. შემიძლია, გითხრათ, რომ სადაზღვევო კომპანია დღეის მდგომარეობით გამოსულია საქართველოს საკანონმდებლო არეალის სივრციდან. მას დარღვეული აქვს პარლამენტის მიერ მიღებული კანონმდებლობა, ასევე – მთავრობის მიერ დადგენილი წესდება. სამართალდამცავი სტრუქტურები და მაკონტროლებელი ორგანოები აუცილებლად უნდა დაინტერესდნენ: რა თანხა აქვთ მიღებული ბიუჯეტიდან, მიღებული თანხიდან რა დაიხარჯა მიზნობრივად ბენეფიციარებზე, რა გადარიცხეს კლინიკაში და რა დარჩათ თავად? მათმა უპასუხისმგებლო დამოკიდებულებამ მედპერსონალი გადაიყვანა თმენის რეჟიმზე, მით უმეტეს – წინასაახალწლო პერიოდში, თუმცა თმენასაც აქვს თავისი საზღვარი.

მოვუწოდებთ კომპანიას, შევიდეს საქართველოში მოქმედ საკანონმდებლო სივრცეში და სასწრაფო წესით დაფაროს „მედიქალ სითის" დავალიანება.

**— თუკი არ მოხდება დავალიანების დაფარვა რა ქმედით ღონისძიებებს გაახორციელებთ?**

— დავალიანების არ დაფარვის შემთხვევაში „ალდაგის" წინააღმდეგ კანონის ფარგლებში ბოლომდე ვიბრძოლებთ. ჩვენი აქცია იყო გამაფრთხილებელი, რომელიც გაგრძელდება და შედეგებზე პირადი პასუხისმგებლობა „ალდაგს" დაეკისრება.

აღსანიშნავია, რომ კომპანიამ, რომელმაც გააბრაზა მედპერსონალი და დააზარალა ბენეფიციარები, სურვილიც არ უნდა ჰქონდეს სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობის. მოვუწოდებ „ალდაგის" ხელმძღვანელობას, რომ კეთილი ინებოს და სახელმწიფო ბიუჯეტით შემოსული თანხებით საკუთარ კომფორტის მოწყობას თავი დაანებოს.

**— როგორც თქვენ აღნიშნავთ, თუკი სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბისიაი" აღიარებს ამ დავალინებას, რატომ არ ახდენს თანხის დაფარვას?**

— საინტერესო კითხვაა და კარგი იქნება, ამ კითხვაზე პასუხი თავად „ალდაგს" მოსთხოვოთ. მე შემიძლია გითხრათ, რომ „ალდაგი ბისიაი" შეგნებულად ცდილობს, არსებული დავალიანების დაფარვა დროში გაწელოს, რაც გამოიხატება საქალაქო სასამართლოს განაჩენის სააპელაციოსა თუ უზენაეს სასამართლოებში გასაჩივრებით, რაც, საერთო ჯამში, წელიწადზე მეტ დროს მოიცავს. წარმოიდგინეთ, რას ნიშნავს საავადმყოფოსთვის ერთი წლის განმავლობაში გაუცემელი ხელფასები. სამწუხაროდ, კომპანიას აქვს ბერკეტები თანხები უაზროდ დაგვიკორექტუროს, ცამდე მართალი იყო, ედავო და მოიგო, მაგრამ ერთი წლის განმავლობაში ხელფასი გქონდეს გაუცემელი. ამიტომ სახელმწიფოს სათანადო აქტებსა და დადგენილებებში უნდა შევიდეს ცვლილებები. დაიწეროს კონკრეტული ვადები, რის ფარგლებშიც დავალიანების დაფარვის ვალდებულება დაეკისრება სადაზღვევო კომპანიას. არაა გამორიცხული, ერთი წლის შემდეგ კომპანიამ თავი გაკოტრებულად გამოაცხადოს და ის ასიათასობით ლარიანი დავალიანება, რაც „ალდაგი ბისიაის" თითოეული საავადმყოფოს მიმართ გააჩნია, ჟარგონულად რომ ვთქვათ, „დაგვაწეროს".

**— თქვენ აღნიშნავდით სადაზღვევო ბაზარზე „ალდაგისადმი" სახელმწიფოს პრივილეგიურ დამოკიდებულებაზე და განაცხადეთ, რომ კომპანია ხელოვნურად ცდილობს იმ კლინიკების გაკოტრებას, რომლებიც მის დაქვემდებარებაში არ არიან. ეს დასკვნა რის მიხედვით გამოგაქვთ?**

— რა თქმა უნდა, ეს არის მათი უმთავრესი მიზანი. აღსანიშნავია, რომ ასეთი ქმედებით „ალდაგი ბისიაი" მიზანმიმართულად აკოტრებს მისი გამგებლობის ქვეშ არმყოფ საავადმყოფოებს. ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა იმ პროტექციონულისტულმა პოლიტიკამ, რომელსაც კომპანია ახორციელებს მის დაქვემდებარებაში მყოფ კლინიკებზე. ფულის მიმღებიც და გამცემიც თავად არის. უხეშად რომ ვთქვათ, ფულს ერთი ჯიბიდან მეორე ჯიბეში ათამაშებენ. ამ ეტაპზე არაფერს ვამბობ დაკორექტირებული თანხების მართებულობასა და კანონიერებაზე, ასევე იმ აფსურდის თეატრზე, რასაც კომპანია ახორციელებს. ამიტომ აღვნიშნე, რომ კარგი იქნება, თუკი მისი ქმედებით შესაბამისი ორგანოები დაინტერესდებიან.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სახელმწიფოს მედიაციის სამსახურის სახით პროფესიონალი გუნდი ჰყავს, რომელმაც ჩვენი ყველა საკითხი მიუკერძოებლად გადაწყვიტა, რაც ადრე შიშის ფაქტორის გამო არ ხდებოდა. აქვე დავამატებ, რომ „ალდაგის" აღნიშნული პრობლემები ახლა არ შექმნია, ის ყოველთვის ცუდი გადამხდელი იყო. კრგი იქნება, თუკი სახელმწიფო ერთიან სადაზღვევო სისტემაზე გადავა, რაზედაც ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, მუშაობა უკვე მიმდინარეობს.

**ნესტან ჩაგელიშვილი**

# „ამ დრომდე უცნობია, თვითმმართველობის ახალი კოდექსით ფინანსები და ქონება როგორ გადაეცემათ მუნიციპალიტეტებს"

**ქუთაისის მერიაში არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდას" ორგანიზებით „სამოქალაქო საზოგადოების რეგიონულ ქსელში" შემავალმა არასამთავრობოებმა ადგილობრივ თვითმმართველობასთან შეხვედრა გამართეს. შეხვედრის მიზანს თვითმმართველობის კანონპროექტთან დაკავშირებით, ქსელის წევრების მიერ მომზადებული შენიშვნების და რეკომენდაციების პაკეტის წარდგენა იყო.**



„P.S. ფოტო" (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

შეხვედრას, საკრებულოს წევრებთან ერთად, ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი შოთა მურღულია ესწრებოდა. მურღულიას განცხადებით, თვითმმართველ ქალაქებში, მათ შორის ქუთაისში, მერის არჩევა პირდაპირი წესით უნდა ხდებოდეს.

„ვფიქრობ, რომ ქუთაისისთვის უკეთესი იქნება, თუ მერს პირდაპირი წესით აირჩევს, რადგან სჭირდება ამ ქალაქს, რაც შეეხება დღევანდელ შეხვედრას, მნიშვნელოვანია თვითმმართველობის დეცენტრალიზაციის საკითხის განხილვა და კოდექსის შემუშავება. კარგია, რომ არასამთავრობოები აქტიურობენ და თავიანთ შენიშვნებს და რეკომენდაციებს გამოთქვამენ, რადგან ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეფორმაა ქვეყნისთვის," — აღნიშნა **შოთა მურღულიამ.**

არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდას" აღმასრულებელი დირექტორის, ზვიად დევდარიანის, განცხადებით კი, მათმა ორგანიზაციამ, თვითმმართველობის კოდექსთან დაკავშირებით, 25 შენიშვნა და რეკომენდაცია გადააგზავნა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და პარლამენტის სახელზე.

„ჩვენი ორგანიზაცია თავიდანვე ჩართული იყო თვითმმართველობის კოდექსის განხილვაში, რადგან „სიდა" არის რეგიონული განვითარების სამინისტროს მიერ შექმნილი საზოგადოებრივი საბჭოს წევრი. ჩვენ „სამოქალაქო საზოგადოების რეგიონულ ქსელთან" ერთად, რომელშიც 40 არასამთავრობო ორგანიზაცია შედის, შევიმუშავეთ ჩვენი მოსაზრებები და გადავუგზავნეთ რეგიონული განვითარების სამინისტროსა და პარლამენტს. ამ შეხვედრის მიზანსაც ჩვენი საბოლოო მოსაზრებების ჩამოყალიბება წარმოადგენს. თვითმმართველობის კოდექსის აღნიშნული ოფიციალური ვერსიის ყოველდღიური განხილვა ხდება მმართველ გუნდშიც. ვფიქრობთ, რომ გუბერნატორის ინსტიტუტის იმ სახით შენარჩუნება, როგორიც დღეს არსებობს — არაა კარგი. არასამთავრობოები კოდექსის პირველ ვერსიას ვემხრობით, სადაც ჩადებული იყო ასოცირებული საკრებულოს იდეა და სადაც მუნიციპალიტეტებს უნდა წარედგინათ თავიანთი წარმომადგენლები. კოდექსში შესული ცვლილებით, უნდა ყოფილიყო გუბერნატორიც და საბჭოც. ახლა კი საუბარია, რომ ეს საბჭო იქნება საკონსულტაციო გუბერნატორისთვის და მასში გამგებლები და მოადგილეები შევლენ. ჩვენ ვემხრობით საზოგადოებრივი თვითმმართველობების შექმნას სოფლის დონეზე. მაგრამ ის ფინანსური და ქონებრივი საკითხები, რომელიც არ არის განსაზღვრული, რეფორმის განხორციელებას ხელს შეუშლის, რადგან, ერთის მხრივ, ვსაუბრობთ დეცენტრალიზაციაზე, ახალი მუნიციპალიტეტების შექმნაზე, მაგრამ მთავრობის მიერ წარდგენილ კოდექსში არ არის ჩაწერილი, როდის და რა მასშტაბით გადაეცემათ ფინანსები და ქონება მუნიციპალიტეტებს. ამის გარეშე კი აღნიშნული პროცესის დაწყება წარმოუდგენელია.

რაც შეეხება მერების და გამგებლების არჩევას, უნდა ხდებოდეს პირდაპირი წესით არჩევა. არ ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ თვითმმართველობის კოდექსის მიღება ქვეყნის დაშლას გამოიწვევს," — განაცხადა **ზვიად დევდარიანმა.**

**ნესტან ჩაგელიშვილი**

## ეკა ბესელია:

# „მთავარ პრობლემად მაინც რჩება უკანონო პატიმრობა და საკუთრების უფლების აღდგენა“

**საზოგადოების დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში ამ ერთი წლის განმავლობაში ბევრი არაფერი შეცვლილა, თუმცა პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავჯდომარე ეკა ბესელია განვლილ ერთ წელს დადებითად აფასებს. ყველაზე დიდ წარმატებად ბესელიას ფართომასშტაბიანი ამნისტია და პოლიტპატიმრების გათავისუფლება მიაჩნია.**

**ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით რომ კვლავ ბევრი პრობლემა რჩება, ამაზე იმ განცხადებების სტატისტიკაც მეტყველებს, რომელიც პარლამენტში შევიდა. უმეტესწილად ადამიანები წართმეული ქონების დაბრუნებას ითხოვენ, დღემდე ვერ მოხერხდა მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნა და სამართლიანობის აღდგენა. უფლებადამცველების უმრავლესობა თვლის, რომ რეჟიმი უნდა გასამართლდეს და რეჟიმის მსხვერპლი ადამიანების რეაბილიტაცია მოხდეს.**

**დღეისათვის უფლებადამცველები ხელისუფლებას დროული ქმედებისკენ მოუწოდებენ, რადგან ჯერ კიდევ ბევრი განსასჯელი ელოდება სამართლიანობის აღდგენას და უკანონო პატიმრობისგან გათავისუფლებას, მესაკუთრეები კი — ქონების დაბრუნებას.**

**ეკა ბესელია** (პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე):

— მთავარ პრობლემად მაინც რჩება უკანონო პატიმრობა და საკუთრების უფლების აღდგენა, რომელიც ადამიანებს წართმეული აქვთ. როდესაც რეჟიმის გასამართლებაზეა საუბარი, იმაზე დიდი განაჩენი არაფერია ყოფილი ხელისუფლებისთვის, როგორიც 210 პოლიტპატიმრის გათავისუფლებაა. რაც შეეხება მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის ამუშავებას, ეს კომისია უნდა აღდგეს, ადამიანებს აქვთ სამართლიანი სასამართლოს უფლება.

უკანონო პატიმრების კომპენსაციის საკითხი ბოლო ეტაპია, დღეს კი უნდა გავითვალისწინოთ ის, თუ რა რესურსი გვაქვს პროკურატურასა თუ სასამართლოში, სად ვაგზავნით ამ ადამიანებს, იმათთან, ვინც უკანონოდ გაასამართლათ? რაც შეეხება ციხეებს, დღევანდელი ციხეები რომ ბევრად უმჯობესია და რომ დღეს ციხეებში წამებები აღარაა, ამაში ყველა დამეთანხმება. პრობლემები კვლავ რჩება. წინა ხელისუფლების დროს ციხეში მაყურებლები იყვნენ და შემორჩენილი არიან დღესაც, თუმცა, დღეს ციხეების სრული კონტროლი ხდება. რაც შეეხება გარდაცვლილ ლევან კორტავას საქმეს, მასზე რეაგირება მოხდა და დაველოდოთ სასამართლოს.

**უჩა ნანუაშვილი** (სახალხო დამცველი):

— სასჯელაღსრულების სისტემაში გატარებული რეფორმების შედეგად დღევანდელი ციხეები განტვირთულია, ბოლო ერთი წლის განმავლობაში ციხეებში არ დაფიქსირებულა წამებების ფაქტები, იშვიათია პატიმრის სიკვდილი, აღარაა ფარული მიყურადებები, ისევ პრობლემად რჩება სამართალდამცავების მხრიდან ადამიანებზე არასათანადო მოპყრობა. აუცილებელია, შეიქმნას ცალკე დამოუკიდებელი სტრუქტურა, რომელიც დამოუკიდებლად შეისწავლის საქმეებს.

ხშირად არის პრობლემები რელიგიურ შეუწყნარებლობასთან დაკავშირებით, ვგულისხმობ ჭელას ინცინდენტს, რომელზედაც პარლამენტმა დაგვიანებული რეაგირება მოახდინა. ხშირია საკუთრების შეზღუდვის ფაქტები.

**ნანა კაკაბაძე** (არასამთავრობო ორგანიზაცია „პატიმრები ადამიანის უფლებებისათვის“ ხელმძღვანელი):

— მაშინ, როცა საზოგადოებაში ამდენ ადამიანს აქვს უსამართლობის განცდა იმის გამო, რომ მათ კვლავ რჩებათ უკანონო განაჩენი, ძალიან ძნელია, ამ დროს ისაუბრო სამართლიანობის აღდგენაზე, სამართლიან სასამართლოზე. დღემდე ვერ ხერხდება მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნა, რეჟიმი უნდა გავასამართლოთ.

დღესაც ციხეებში არასათანადოდ ექცევიან პატიმრებს. მე მაქვს ინფორმაცია, რომ ორი დღის წინ №7 საპყრობილეში ადმინისტრაციის უფროსმა ტრაპაიძემ, მოადგილემ და რეჟიმის უფროსმა სასტიკად სცემეს პატიმრები: მირზა გირგველანი და მისი ძმა, ბაჩო გირგველანი. ორი დღეა, მათთან არ უშვებენ ადვოკატებს. მოვითხოვ სახალხო დამცველის მიერ ფაქტების გადამოწმებას.

**სოზარ სუბარი** (სასჯელაღსრულების, პრობაციის, იურიდიული დახმარების მინისტრი):

— ნანა კაკაბაძის ინფორმაცია არის სიცრუე და პიარზე გათვლილი, ციხეებში პატიმრებს აღარ სცემენ და აღარ აწამებენ, ამიტომ ამ ცილისწამებას ვერ მივიღებ. სამწუხაროდ, ციხეებში ჯერ კიდევ რჩებიან მაყურებლები, თუმცა, მათი გავლენა ბევრად შემცირებულია, დღევანდელი ციხეები განტვირთულია, ხორციელდება ინფრასტრუქტურული პროექტები, ვმუშაობთ პატიმრების ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციაზე. ის პატიმრები, რომლებიც ვადაზე ადრე გავათავისუფლეთ, არცერთი არ დაბრუნებულა უკან, ხოლო პრეზიდენტის მიერ შეწყალებული პატიმრების 20% ციხეში დაბრუნდა.

**ნინო ანდრიაშვილი** (ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრის ხელმძღვანელი):

— წამების მსხვერპლთან დაკავშირებით ბევრი გამოუძიებელი ფაქტია, ხშირად კონკრეტული პირები ითხოვენ მათი საქმეების გამოძიებას, პროკურატურა კი ძალიან დიდ დროს უთმობს გამოძიების საკითხს და, ფაქტობრივად, მათი საქმეები გამოუძიებელია.

მოუგვარებელია დევნილთა პრობლემები, ისინი მოითხოვენ სოციალურ დაცვას და საბინაო პრობლემების გადაწყვეტას. ასევე დაუცველი არიან რელიგიური უმცირესობები, პრობლემად რჩება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, ამიტომ საჭიროა კანონის ლიბერალიზაცია.

**გიორგი თევზაძე** (უფლებადამცველი):

— მოვითხოვ, შეიქმნას მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისია, რატომ გადაწყვიტა ხელისუფლებამ, რომ ამ კომისიის შექმნა შეეჩერებინა? სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები უკმაყოფილებას გამოვთქვამთ ამის გამო, ციხეებში ასობით პატიმარი შიმშილობს და საჭიროა, სრულად ამოქმედდეს კომისიის მუშაობა, რომლებიც უკანონო პატიმრებს გაათავისუფლებს. ასევე მოვითხოვთ ადვოკატების უფლებების გაზრდას, დაცვისა და ბრალდების მხარეები თანაბარ პირობებში უნდა იმყოფებოდნენ, სხვა შემთხვევაში დაზარალდება ისევ საზოგადოება.

**ინგა ბერიკაშვილი** (ადვოკატი):

— ვარ პატიმარ ქართველიშვილის ადვოკატი, რომელმაც გადმომცა ინფორმაცია, რომ სასტიკად ნაცემია პატიმარი მირზა გირგმელიანი, ხოლო მისი ძმა ბაჩო ისე აწამეს, რომ ხერხემალი აქვს დაზიანებული. პატიმრების უმეტესობა იმიტომ შიმშილობს, რომ მათ სცემენ, ეს სრული სიმართლეა.

**საზოგდოებას ჯერ კიდევ აქვს უსამართლობის განცდა, რადგანაც ციხეებში კვლავ რჩებიან უკანონო პატიმრები, პატიმრებს კვლავ სცემენ და არასათანადოდ ექცევიან, ძალიან ბევრ შემთხვევაში ისინი გაურკვეველ ვითარებაში იღუპებიან ან თვითმკვლელობით ასრულებენ სიცოცხლეს.**

**დევნილები და მიუსაფარი ადამიანები კვლავ უსახლკაროდ არიან, მოუგვარებელია სოციალური და ჯანდაცვის პრობლემები, 22 ათასზე ბავშვი სიღარიბის ზღვარს მიღმა და 300 ათასი კი არასათანადო პირობებში ცხოვრობს. კვლავ მოუგვარებელია ქუჩის ბავშვების პრობლემა, მესაკუთრეების 50%-ს ჩამორთმეული აქვს ქონება, რომლის დაბრუნებაზე საუბარიც არ არის, ადამიანებს კვლავ აშანტაჟებენ პირადი ცხოვრების ამსახველი კადრებით. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ ადამიანის უფლებები შელახულია და ისინი კვლავ დაუცველი რჩებიან, თუმცა ხელისუფლების წარმომადგენლები მიღწეულით ამაყობენ.**

**ეთერ ბალაძე**

psnews.ge

# წერილი ციხიდან: „დღესაც მცემენ, მაგინებენ და მაფურთხებენ!..“

## პატიმარი გაგა არზიანი დახმარებას ითხოვს

**სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში დღეს ათობით პატიმარი შიმშილობს, რამდენიმე მათგანმა უკიდურეს ზომებსაც მიმართა და პირიც კი ამოიკერა. შიმშილობის ოფიციალურ მიზეზად უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლების მოთხოვნაა, ამას ემატება გაუსაძლისი პირობები და პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობა, რომელსაც, სამწუხაროდ, კლავ ინარჩუნებს სოზარ სუბარის უწყება.**

**„ადამიანის უფლებებისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაციის“ ხელმძღვანელ გიორგი თევზაძეს პატიმარმა გაგა არზიანმა ციხიდან წერილი გამოუგზავნა, რომელშიც ასახულია პატიმრების როგორც ადრინდელი, ასევე დღევანდელი გაუსაძლისი მდგომარეობა, წერილის შინაარს სრულად გთავაზობთ.**



„პატივცემულო საზოგადოებავ, მინდა გითხრათ, რომ უკვე მეორედ ვაგზავნი წერილს თქვენს მისამართზე, მაგრამ ხელოვნურად მიქმნიან პრობლემებს და ყველანაირად ცდილობენ, ხელი შემიშალონ. პირველი გზავნილი უკან მომიტრიალეს და მითხრეს, რომ ასეთი მისამართი არ არსებობდა, ახლა, კი თურმე სწორად გამომიგზავნია.

„მინდა გითხრათ, რომ ვარ უკანონო პატიმარი, უკანონო სასჯელს ვიხდი 2006 წლიდან. დაკავების დღიდან დღემდე ვიმყოფები ცემაში, ტანჯვასა და ფურთხებაში. დაზიანებული მაქვს ჯანმრთელობა, ჯერ დიღომში, ე.წ. „კაპეზეზე“, სადაც მცემეს და მაწამეს. შემდგომში ჩემი ტანჯვა-წამება გაგრძელდა №1 საპყრობილეში, სადაც კბილები ჩამიმტვრიეს, ყინვაში ტიტველს, ბორკილდადებულს ქუსლებში მცემდნენ, მაგინებდნენ, მაფურთხებდნენ და მემუქრებოდნენ. დღესაც ცემის, გინების და ფურთხების ქვეშ ვარ. მივწერე თითქმის ყველა ორგანიზაციას, მაგრამ უშედეგოდ, პასუხი არავის არ გაუცია. მყავს შვილი დაჩი, რომელიც თვალით არ მინახავს, დამენგრა ოჯახი, ასევე მყავს ლოგინად ჩავარდნილი დედა. სასჯელის ვადა დამრჩა სამი წელი, ვითხოვ პირობითში გადამიტანონ, ან გადამივადონ ავადმყოფობის გამო, რათა შევძლო მკურნალობა და შემდეგ სიმართლის დამტკიცება სასამართლოში. ვარ უდანაშაულო, გთხოვთ დამეხმაროთ, მოუთმენლად ველოდები თქვენს პასუხს და იმედი მაქვს, გადამარჩენთ, წინასწარ გიხდით მადლობას, გფარავდეთ ღმერთი.“

***

როგორც პატიმარი გაგა არზიანი, ასევე ასობით დაავადებული პატიმარი ელოდება სამართალს, თუმცა სამართლიანობის აღდგენა იგვიანებს.

უფლებადამცველმა გიორგი თევზაძემ პატიმარ გაგა არზიანის წერილი გადაუგზავნა პრობაციის მინისტრ სოზარ სუბარსა და პროკურატურას, თუმცა, როგორც გიორგი თევზაძე psnews.ge-სთან ინტერვიუში აცხადებს, პატიმრის წერილზე პასუხი არც პროკურატურას გაუცია და არც სუბარის უწყებას.

— დღემდე არავითარი პასუხი არ მომსვლია. საჭიროა, შეიქმნას მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისია იმისათვის, რომ ასეთი კატეგორიის პატიმრების მიმართ განხორციელდეს კანონიერების აღდგენა, სამართლიანი სასამართლოს პირობებში ისინი გათავისუფლდნენ საპატიმროებიდან.

**— რამდენიმე პატიმარმა უკიდურეს ზომას მიმართა და პირი ამოიკერა, ასევე ასობით პატიმარი შიმშილობს ხარვეზების დამდგენი კომისიის ამოქმედების მოთხოვნით. ხომ არ შეიძენს ყოველივე ეს პოლიტიკურ ელფერს?**

— ეს რეაქცია მოსალოდნელი იყო იმ მოლოდინის ფონზე, რომელიც საზოგადოებას ჰქონდა და დღესაც აქვს მოქმედი ხელისუფლებისგან. ბუნებრივია, მართლმსაჯულების საკითხებში ხისტი მიდგომები საზოგადოებას მხოლოდ დააზარალებს.

მაქვს ინფორმაცია, რომ პატიმარ რუსლან გუგუნავას დის, ფიქრია გუგუნავას განცხადებით, რუსთავის №6 საპყრობილის რამდენიმე პატიმარმა პროტესტის ნიშნად პირი ამოიკერა და მრავლობითი ჭრილობები მიიყენა. ამავე განცხადებით, პატიმრების ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა და გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას საჭიროებენ.

ვრცელდება ინფორმაცია ასევე მოშიმშილე პირზე, რომელსაც არ აქვს არცერთი ხელი, თან არათუ მტევნებში, არამედ მკლავებში აქვს 12 წლის წინ მოკვეთილი. ასეთი კაცია დაჭერილი განზრახ მკვლელობაში სადიზმის ბრალდებით. ასეთი მსჯავრდებულის მიერ საქმის გადასინჯვაზე დაყენებული მოთხოვნის საფუძვლიანობაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია.

ასეთი ფაქტების საფუძველზე დაყენებული მოთხოვნების არსებობა ლოგიკურია. აუცილებელია, მოძიებული იქნას სწორი და იურიდიულად გამართული მექანიზმი, რომელიც შესაძლებელს გახდის საქმის ობიექტური საფუძვლების და მტკიცებულებების არსებობისას ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების გადასინჯვას. ეს რთული, მაგრამ ხელისუფლების მხრიდან აუცილებლად გადასადგმელი ნაბიჯია და რაც უფრო დროულად იქნება ეს საკითხი იურიდიულად დარეგულირებული, უმჯობესია. თუმცა, პირველ რიგში, აუცილებელია, ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკური ნება იქნას გამოხატული და დაფიქსირებული.

**ეთერ ბალაძე**

psnews.ge

# „ახალი კოდექსი მეტ ცენტრალიზაციას ახდენს, ვიდრე წინა ხელისუფლების დროს იყო“

**ადგილობრივი თვითმმართველობის ახალი რეფორმა, რომელიც ქვეყანაში უახლოეს მომავალში უნდა დაიწყოს, ექსპერტთა ნაწილის შეფასებით, შესაძლოა, ქვეყნისთვის საფრთხეების მომტანი იყოს. ყველაზე კრიტიკულად კი ისინი კოდექსის პროექტის მე-7 კარს, ანუ მუნიციპალიტეტთა რეგიონულ გაერთიანებას და მის უფლებამოსილებას აფასებენ.**
**რატომ ეწინააღმდეგება მუნიციპალიტეტების რეგიონული გაერთიანება საქართველოს კონსტიტუციას, საფრთხეების შემთხვევაში ვის დაეკისრება პასუხისმგებლობა, ამ და სხვა საკითხებზე საქართველოს ეკონომისტთა ასოციაციის თავმჯდომარე მიხეილ ჯიბუტი გვესაუბრება.**

— საქართველოს მთავრობის მიერ შემოთავაზებული ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის პროექტი განხილვისათვის ორ ნაწილად უნდა გავყოთ: მე-7 კარი, რომელიც ადგილობრივ თვითმმართველობათა რეგიონულ გაერთიანებას ეხება და მეორე, კოდექსის სხვა დანარჩენი ნაწილი. მე-7 კარი ეს არის უცხო სხეულის იმპლანტაცია ამ კანონში. ის ეხება გაუგონარი შინაარსის გაერთიანებას, აგრეთვე გუბერნატორის ინსტიტუტთან დაკავშირებულ საკითხებს, რაც, თავისი შინაარსით, ამ კანონის სფერო არ არის. თუ კანონპროექტის ავტორთა ზრახვები განხორციელდა, ეს იქნება საქართველოს ტერიტორიული დაყოფის ისეთი მასშტაბის ცვლილება, რომელიც ფარნავაზ მეფის შემდეგ არ მომხდარა. შინაარსობრივად კი, საქართველოს ტერიტორიული დაყოფის კანონპროექტში წარმოდგენილი ვარიანტი ეს არის არაკომპეტენტური, დანაშაულებრივი ქმედება. საქმე იმაშია, რომ დარჩენილ ტერიტორიაზე, რომელიც ოკუპირებული ტერიტორიის გარდა შემორჩა ქვეყანას, არის ერთიანი სივრცე, სადაც შიდა ტერიტორიული ორგანიზაცია ადმინისტრირების მიზნითაა დაყოფილი და არა კუთხურ-ეთნოსური ნიშნით. კუთხურ-ეთნოსური იდენტიფიცირება არაა მიბმული ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფასთან, აჭარის გარდა. გურია სად იწყება და სად მთავრდება, ეს ისტორიულ საქმედაა ქცეული. სულ სხვაა თუ სად ცხოვრობენ გურულები. მათი განსახლების არეალი არაა მიბმული ამ ტერიტორიის გურიად — მის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულად შექმნასთან. შემოთავაზებული კანონპროექტის განხორციელება კი წარმოშობს გურიის „სახელმწიფოს“. როგორც კი ასეთი რამ მოხდება, მაშინვე დადგება საკითხი გურულების განსახლების არეალისა და გურიის სახელმწიფოს საზღვრების შესაბამისობის შესახებ. საკითხის გარკვევასა და ისტორიული სამართლიანობის აღდგენას მოჰყვება მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნისმაგვარი მოვლენები შიდა და გარე მტერ-წამქეზებლების მეშვეობით. ჰიპოთეზურად გადაიტანეთ იგი სხვა კუთხეებშიც. საქართველოს ყველაზე დიდი უბედურება დაატყდა თავს, როდესაც ის ერთეულებად დაიშალა, მაგრამ საქართველო არასდროს ყოფილა დაყოფილი ისეთ ერთეულებად, როგორც დღეს ოფიციოზი ანტიკონსტიტუციურად გვინერგავს ცნობიერებაში. მაგალითად, სამეგრელო-ზემო სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი და ა.შ. ეს ისეთივე ნონსენსია, როგორც „სამხრეთ ოსეთი“. ეს დაყოფა არაა არც კანონიერი და არც ისტორიული. თუ აქამდე ვერ ვხვდებოდით, თუ რატომ იყო ამ დაყოფის გამოყენება წახალისებული, აღნიშნული კანონპროექტით კარგად გამოჩნდა წყარო — ხელისუფლება, რომელიც იცვლება, მაგრამ ეს მიმართულება ხელისუფლების საქციელში უცვლელია. ეს კი აჩენს ეჭვს, რომ ან ხელისუფლებაში ამ იდეის გამტარებელი ძალები უცვლელად არიან ან უცვლელია ხელისუფლებაზე ამ მიმართულებით ზემოქმედი გარე ძალები.

კანონპროექტის ავტორები გეგმავენ საქართველოს დაყოფას „რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის“, „სამცხე-ჯავახეთის“, „ქვემო ქართლის“ და ა.შ. „მუნიციპალიტეტთა რეგიონულ გაერთიანებებად“. გაერთიანების სახელით შენიღბული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული შეიცავს სახელმწიფოებრიობის ყველა ნიშანს: ტერიტორია, მოსახლეობა, კანონმდებლობა, იურიდიული პირის სტატუსი, ფინანსები და სამართავად მისთვის მიცემული ქონება. ერთი დარჩა ის, რომ არ ჰყავს ჯარი და საგარეო საქმეთა მინისტრი. თუმცა, ვიღაცას ხომ შეიძლება მოუნდეს, რომ ჯარიც ჰყავდეს და საგარეო საქმეთა მინისტრიც?! თავიდან, აფხაზეთიც ისეთივე უწყინარი გაერთიანება იყო, სადაც შევიდა ისტორიული კუთხეები: საკუთრივ აფხაზეთი, ჯიქეთის ნაწილი, საბედიო, სამურზაყანო, თავისუფალი სვანეთი. იგივე შეიძლება ვთქვათ „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაზეც“, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი „ბოლშევიკი წინაპრების“ პოლიტიკური თამაშით შექმნილი თავსატეხი, რომელიც შედგება საქართველოს ისტორიული კუთხეების: ქართლის, დვალეთის, რაჭის, იმერეთის ნაწილებისაგან.

სეპარატიზმის საფრთხე ყველა რეგიონში შეიძლება შეიქმნას, რაც ნაციონალური ან რელიგიური მოვლენა კი არა, არამედ ეკონომიკური მოვლენაა. მას მოცემულ ტერიტორიაზე წარმოშობილი ბიუროკრატიულ-ეკონომიკური ელიტა აყალიბებს, რომელსაც ეკონომიკური ინტერესები გაუჩნდება და სურს, ის დაიკმაყოფილოს. იწყება ამ განზრახვის ისე შეფუთვა, რომ მოიპოვოს მხარდაჭერა. იტყვის, რომ საჭიროა რეგიონს ჰქონდეს რეგიონული ენა. მხარდამჭერი გაჩნდება ევროპის სახით, რომელსაც მიღებული აქვს რეგიონული ენების ქარტია. თუ გაქვს რეგიონი, რატომ არ გაქვს რეგიონული ენა, ევროპისათვის გაუგებარია, მაგრამ რეგიონი თუ არ გაქვს, ის ამ საკითხს ვერ დასვამს. მაშინ, რატომ ქმნი მას?! შესაძლოა, გაჩნდეს რელიგიის კუთხით შეფუთვის ახალი ვარიანტი, რომ ჩვენ მუსულმანები ვართ ან მართლმადიდებლები და გვინდა ცალკე ვიყოთ, რადგან ვიჩაგრებით. ამის მაგალითად ბალკანეთი შეიძლება დასახელდეს, ერთი ჯიშის და სისხლის ხალხს სეპარატიზმის სურვილი გაუჩნდა და შემდეგ შეიფუთა ხან რელიგიური, ხან პოლიტიკური და სხვა ნიშნით. მთელი საფრთხე მხოლოდ ეთნოსზე არ არის მიბმული, შეფუთვის მომენტიც ძალიან მნიშვნელოვანია. მთავარი ისაა, რომ არავინ გვეუბნება ეს რატომ უნდა გაკეთდეს, რას გვაძლევს ეს, შედეგი რა იქნება?! ამბობენ, თითქოს ეს გააუმჯობესებს თვითმმართველობის სერვისის მიტანას ადამიანებამდე. სინამდვილეში ესეც ტყუილია, რადგან თუ დღეს მუნიციპალიტეტებიდან სერვისს სადღაც მესამე ცენტრში ავიტანთ, ეს კი არ დაუახლოვებს მას მოსახლეობას, პირიქით, დააშორებს. მეორეც, მე-7 კარი თვითმმართველობის განვითარების იდეას ეწინააღმდეგება და კიდევ უფრო მეტ ცენტრალიზაციას ახდენს, ვიდრე ეს წინა ხელისუფლებამ გააკეთა.

მუნიციპალიტეტებთან დაკავშირებით კი საქმე უფრო ჩახლართულია; არსებული მუნიციპალიტეტების დაშლით მათ გამრავლებაზეა საუბარი. სავარაუდოდ, ორჯერ ან სამჯერ მეტი მუნიციპალიტეტი გვექნება, ვიდრე არის. შეთქმულების თეორიის მიმდევარი არ ვარ, მაგრამ როცა ფაქტების ჯაჭვი ემთხვევა ერთმანეთს, დასკვნა თავისით გაკეთდება. მგონია, რომ კანონპროექტი ან უგუნურად ან მტრულადაა შედგენილი. დაყოფისკენ მიმართული ქმედების ეჭვს ისიც ამყარებს, რომ დღეს მოქმედ ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ არის მე-9 მუხლი, სადაც აღნიშნულია, რომ ადგილებზე საქმის წარმოების ენა სახელმწიფო ენაა. მოცემულ კანონპროექტში კი ენის საკითხი საერთოდ არ არის შეტანილი. დღესაც ბევრ მუნიციპალიტეტში ადამიანებს საქმისწარმოება სახელმწიფო ენაზე უჭირთ, მაგრამ მოტივაცია აქვთ, რომ სახელმწიფო ენა ისწავლონ. ახალი კანონით თუ ჩნდება რეგიონი, მაშინ რეგიონული ენაა საჭირო. უკვე ჯერარმიღებულმა კანონმა გააჩინა ამ მიმართულებით პატარ-პატარა კერები, წარმოიშვა პატარა ჯგუფები, რომელიც ამ მოტივით არიან შეპყრობილები.



მიხეილ ჯიბუტი

ის, რომ დღეს არსებული მუნიციპალიტეტები მასობრივად ხელოვნური პარამეტრებით — მოსახლეობა, მანძილი და ა.შ. დაიყოს, არასწორი გზაა. ავტორები აცხადებენ, რომ ამას სერვისის მიწოდების გაუმჯობესების მიზნით აკეთებენ; მაგრამ ესეც პირობითი ცნებაა. სერვისის მიწოდება რომ სწრაფი და მოსახლეობასთან დაახლოებული იყოს, ამას ქვეყნის ჭრა-კერვა არ სჭირდება და ტექნოლოგიურად შეიძლება გადაწყდეს კომპიუტერული ტექნოლოგიების მეშვეობით. ის ხარჯები, რაც ამ კანონპროექტის ამოქმედებას დაჭირდება, აბსოლუტურად იძლევა შესაძლებლობას, რომ ყველა დიდი თემის ცენტრი ციფრული ტექნოლოგიით იყოს უზრუნველყოფილი და მოსახლეობამ მიიღოს ის მინიმალური მომსახურება, რასაც ის დედაქალაქში იღებს. ეს არის მიმართულება, საითკენაც უნდა წავსულიყავით, მაგრამ ასე არ მოხდა. მუნიციპალიტეტების დაყოფა კი, ვფიქრობ, საფრთხეების შემცველია, რადგან მასზე უმიზნოდ დიდი ეროვნული ენერგია უნდა დაიხარჯოს. არის კიდევ მეორე საკითხი: თუ მიზანი არ ჩანს, მაშინ თვითმმართველობა საით უნდა განვითარდეს? რა შესაძლებლობა აქვს მას? პროცესი მოქმედ კანონმდებლობაში ნაკლოვანებების აღმოფხვრითა და არსებული კანონმდებლობის ცუდი განხორციელების პრაქტიკის დაძლევით უნდა დაწყებულიყო. საინიციატივო ჯგუფმა, შევქმენით სამთავრობო კანონპროექტის ალტერნატიული ვარიანტი და თვითმმართველობის განვითარების ვექტორი არა სახელმწიფოსკენ, არამედ სოფლისკენ მივმართეთ. მიგვაჩნია, რომ თემში უნდა იყოს არჩევითი ორგანო, რომელიც სოფლის თავს აირჩევს. ამ უკანასკნელს დაენიშნება ხელფასი და სოფლის ტერიტორიაზე განხორციელებული პროექტები დელეგირებული უფლებით გადაეცემა. ამასთან, თუკი არის იმის შესაძლებლობა, რომ მუნიციპალიტეტის შეგნით რომელიმე ერთეული ისე განვითარდა, რომ თვითმმართველობის განხორციელება დამოუკიდებლად შეუძლია, მაშინ ის უნდა გამოეყოს ცალკე თვითმმართველობად. სხვათა შორის, ასეთ შესაძლებლობას დღევანდელი კანონმდებლობაც იძლევა.

**— რაც შეეხება მუნიციპალიტეტებისთვის მიწის და ქონების გადაცემის საკითხებს; ხედავთ თუ არა ამაში პრობლემას და რა შეიცვლება რეფორმის გატარების შემდეგ?**

— როგორ გადაწყდება მიწის საკითხი ესეც არ არის გარკვეული, რადგან კანონპროექტში წერია, რომ საკითხს 2017 წელს განიხილავენ. ანუ ახლა მთავრობისთვის მთავარია დაჭრას და დაკეროს, ხოლო მიწას როგორ მისცემს ადგილობრივ თვითმმართველობას, ტყეს და სხვა დანარჩენ ქონებას განსაკარგად, ამას 2016-2017 წელს განიხილავს. მიწის გარეშე რა უნდა ჰქნან რეალურად თვითმმართველობებმა, არ ვიცი; ალბათ, ისევ ისე დარჩება ფიქციად, როგორც ახლა მართავს ეკონომიკის სამინისტრო თბილისიდან საძოვრებს, სათიბებს, წყალს და ა.შ. კიდევ უფრო მეტი ცენტრალიზება მოხდება. რეალური თვითმმართველობისთვის, ამ რეფორმით, ვერც ქონებას მიიღებენ და ვერც მიწა-წყალს. ერთი წელი 4 წლის 25%-ია, რაც ამ ხელისუფლებამ უკვე დახარჯა და ვერ შეძლო ის დაებრუნებინა ხალხისთვის და თვითმმართველობისთვის, რაც წინა ხელისუფლებამ წაართვა. მოსახლეობისთვის უნდა ეკითხათ არსებულ კანონმდებლობაში რა ხარვეზები იყო და იმის მიხედვით უნდა დაეწყოთ ფიქრი რეალურ რეფორმაზე. ამათ კი კანონპროექტი ყოველგვარი გამოკითხვის გარეშე, ოთახში დაწერეს და ახლა ცდილობენ ფაქტის წინაშე დაგვაყენონ. სადაური დემოკრატიაა, რომ საზოგადოებას უწერ კანონპროექტს და მას ისე აკითხებ, როგორც შენ გინდა?! გვეტყვიან, რომ შეხვედრები გვქონდა და რეგიონებში ვიყავითო, მაგრამ მოსახლეობას აუხსნეს ყველაფერი, თუ ინფორმაცია ისე მიაწოდეს, როგორც თვითონ უნდოდათ? რატომ არ არის საჯარო დისკუსიები ამ თემაზე?

**— კანონპროექტს მთავრობაშიც კი ყველა არ ეთანხმება. როგორ ფიქრობთ, რატომ ვერ მოხერხდა ამ შენიშვნების გათვალისწინება?**

— კანონპროექტი, რომელმაც გაიარა მთავრობის სხდომა, მანამდე გაიარა და მიიღო დასკვნა ყველა სამინისტროში — იურიდიული სამსახურების, მინისტრის მოადგილეების და მინისტრების, შემდეგ ყველაზე მთავარი დასკვნა იუსტიციის სამინისტროში, შემოწმდა მისი შესაბამისობა კონსტიტუციასთან და მაინც მიიღეს, ასეთი კანონპროექტი მთავრობის კომპეტენციის გამო შეშფოთებას იწვევს. თუ მათ ასეთი რამე გაეპარათ, მაშინ ისიც შეიძლება გაეპაროთ, რომ სახელმწიფო მთლიანად აჩუქონ ვინმეს.

**— რაც შეეხება პროექტის ფასს; დათვლილია რა შეიძლება დაუჯდეს რეფორმა სახელმწიფოს?**

— ყველა ასეთი გათვლა პროექტის ფასთან დაკავშირებით, ძალიან პირობითია. სახელმწიფომ კონკრეტულად უნდა თქვას მოსახლეობა რა სარგებელს მიიღებს ამ რეფორმით. უნდა ვიცოდეთ ხარჯი და შედეგი. რაც შეეხება პროექტის ფასს, სხვადასხვაგვარი შეფასებაა. ჩვენი გათვლებით, რაც ყველაზე მინიმუმია, 2014-2015 წლებისათვის მისი განხორციელება 500 მილიონი ლარი დაჯდება. უცხოელი სპეციალისტების ზოგიერთი შეფასებით, მისი ფასი 2-2,5 მილიარდი იქნება. ხარჯების გაზრდას არა მარტო დიდი ცვლილებები იწვევს, არამედ უამრავი დეტალიც — როდესაც ამდენ სოფელს, მუნიციპალიტეტს სახელი შეეცვლება, ავტომატურად უნდა შეიცვალოს საფოსტო ინდექსები, ფირნიშები, რომელიც ყველა გზას და მოსახვევს უჩვენებს და ა.შ. ამასთან, თუ ახალ ცენტრებს ვქმნით, მას ახალი ინფრასტრუქტურა — გზა, კანტორა და ა.შ. სჭირდება, რაც ხარჯებს კიდევ უფრო გაზრდის.

**— რაც შეეხება თქვენს ალტერნატიულ კანონპროექტს, როდის აპირებთ პარლამენტში შეტანას?**

— პარლამენტში უკვე გაკეთებული გვაქვს განაცხადი, ვაგროვებთ ხელმოწერებს და ვცდებით ძალიან მალე შევიტანოთ ეს 30 ათასი ხელმოწერა. თუ ეს კანონპროექტის განხილვამდე მოესწრება, მაშინ ჩვენს პროექტს ალტერნატიულ კანონპროექტად, თუ არა, ცალკე საკანონმდებლო ინიციატივად განიხილავენ. კანონპროექტისადმი ჩვენი უარყოფითი დამოკიდებულება საჯაროდ მას შემდეგ გამოვიტანეთ, რაც ჩვენი მოსაზრებები მისი ავტორების მიერ უგულებელყოფილ იქნა. ამასთან, მინდა კანონპროექტის ავტორებს ვუთხრა, რომ ჩვენი კრიტიკა ეფუძნება პრინციპს „მოყვარეს პირში უძრახე“. ვურჩევ მათ, კრიტიკა გამოიყენონ კანონპროექტის გასაუმჯობესებლად, ბევრი გაკეთებულს უქებს იმ იმედით, რომ მასზე მისი ავტორები „პოლიტიკურ კისერს“ წაიტეხენ. ჩვენ არც ეს გვსურს და არც ის, რომ მათ კისრისტეხვას მთელი ქვეყნის ცხვირ-პირის წატეხვა მოჰყვეს.

**მოამზადა თამთა კაკაურიძემ**

# თვითმმართველობის რეფორმა ფართო მსჯელობის საგანია

## სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორის განცხადება თვითმმართველობის ახალ კოდექსთან დაკავშირებით

„ჩვენი პარლამენტი და ხელისუფლება დღეს განიხილავს და მსჯელობს თვითმმართველობის საკითხზე. ეს მეტად რთული საკითხია. თუ განხორციელდა, ჩვენ მივალთ საქართველოს დაშლისკენ. ჩვენ ამას არასდროს შევეგუებით და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ეს არ შესრულდეს. საქართველო იყო და იქნება ერთიანი ერი, ერთიანი ქვეყანა. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ როცა ძლიერი იყო ხელისუფლება და მის გარშემო მთელი ქვეყანა, ძლიერი იყო საქართველოც. ჩვენი აზრით, ყოველი რაიონი უშუალოდ დაკავშირებული უნდა იყოს ჩვენს ხელისუფლებასთან. ხელისუფლებამ უნდა იცოდეს ის პრობლემები, რომელიც არსებობს რაიონში. ამას არ სჭირდება შუა რგოლი.

ხელისუფლება თვითონ უნდა განიხილავდეს, უნდა შეისწავლოს რა სჭირდება თითოეულ რაიონს. ჩვენი ხელისუფლება უნდა ცდილობდეს, რომ პრობლემა, რომელიც არსებობს ამა თუ იმ რაიონში, იყოს გამოსწორებული. რატომღაც ზოგიერთი ცდილობს, რომ კანონი სასწრაფოდ უნდა იყოს მიღებული.

ჩვენი აზრით, ეს უნდა იყოს განხილული მთელი ერის მიერ. ხალხმა უნდა იმსჯელოს რა არის მისაღები საქართველოსთვის. ამიტომ, არ უნდა ვიჩქაროთ. ხალხი უნდა გაეცნოს თვითმმართველობის ამ კანონს. მე მინდა დიდი პატივისცემით მივმართო ჩვენს პარლამენტს და ხელისუფლებას, გაითვალისწინონ ეს საშიშროება და ნუ ავჩქარდებით ამის მიღებაში“, — აღნიშნულია უწმინდესის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

## არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება თვითმმართველობის რეფორმის განხორციელების პროცესთან დაკავშირებით

ჩვენ, არასამთავრობო ორგანიზაციებს მიგვაჩნია, რომ მოქალაქეთა მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების იდეა წარმოადგენს უმთავრეს ფასეულობას, რომელსაც ემყარება დემოკრატიული მმართველობის მთელი სისტემა. მოქალაქეთა უფლება, მონაწილეობა მიიღონ საკუთარი, ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეების წარმართვაში, საერთოა ყველა დემოკრატიული სახელმწიფოსთვის. მხოლოდ მაღალი ლეგიტიმაციის მქონე ადგილობრივ ხელისუფლებას, მოქალაქეთა ჩართულობით შეუძლია უზრუნველყოს ეფექტური და, ამასთან, მოქალაქესთან დაახლოებული მმართველობა, ჩამოაყალიბოს ადგილებზე განვითარების სრულფასოვანი პირობები.

ქვეყნის განვითარების უმთავრესი საფუძველია ძლიერი თვითმმართველობა, სადაც მოქალაქეები საკუთარი პასუხისმგებლობით, არჩევითი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საშუალებით, სახელმწიფოს სუვერენიტეტის შეულახავად ახორციელებენ ამ უმნიშვნელოვანეს უფლებას, რომელიც მათ მინიჭებული აქვთ საქართველოს კონსტიტუციით და საქართველოს მიერ რატიფიცირებული ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიით.

ვერ დავეთანხმებით მოსაზრებას, რომლის თანახმად, მოქალაქეთა მიერ ადგილობრივი საჭიროებების დამოუკიდებლად გადაწყვეტის იდეა, შესაძლოა, სეპარატიზმის გაღვივების და ქვეყნის დაქუცმაცების საფუძველი გახდეს. როგორც წესი, ამ არგუმენტს გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ხელისუფლებაში მოსული ყოველი პოლიტიკური ძალა საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ და კანონის საკუთარ თავზე მორგების მიზნით იყენებდა, რამაც, საბოლოო ჯამში, დღეს არსებულ „ფასადური“ თვითმმართველობის სრულიად უუნარო და მოქალაქეებისთვის არაფრის მომცემი სისტემის ფუნქციონირებამდე მიგვიყვანა.

მიუხედავად იმისა, რომ, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს გვაქვს გარკვეული შენიშვნები „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ სხვადასხვა მუხლების მიმართ, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები მიუღებლად მივიჩნევთ რეფორმის ნებისმიერი დისკრედიტაციის მცდელობას, მით უმეტეს იქ, სადაც, მოქალაქეთა მიერ თვითმმართველობის უფლების განხორციელება არ მოდის წინააღმდეგობაში საქართველოს სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებთან და მის სუვერენიტეტთან, არამედ, ემსახურება ხელისუფლების ვერტიკალური დაბალანსების და მოქალაქეზე ორიენტირებული თვითმმართველობის შემოღებას.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე:

მოვუწოდებთ საქართველოს მთავრობას და პარლამენტს, როგორც მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების რეალიზების მთავარ გარანტორს, არ აყვნენ თვითმმართველობის იდეის დისკრედიტაციის ტალღას და არ შეაჩერონ რეფორმის პროცესი;

ნუ გადაუხვევენ წინასაარჩევნო დაპირებებს და უზრუნველყონ უახლოეს თვითმმართველობის არჩევნებამდე ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, სადაც, მოქალაქეებს საშუალება მიეცემათ, საკუთარი პასუხისმგებლობით, საქართველოს კონსტიტუციის და კანონმდებლობის შესაბამისად, არჩევითი ორგანოების და თანამდებობის პირების საშუალებით, თვითმმართველობაში მონაწილეობის ეფექტური ფორმების გამოყენებით განახორციელონ საკუთარი უფლებები, ხოლო რეგიონალურ დონეზე, მათ მიეცეთ შესაძლებლობა, აკონტროლონ მთავრობის მიერ დანიშნული თანამდებობის პირები.

**1. სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი (ICCC);**
**2. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED);**
**3. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC);**
**4. ფონდი „ღია საზოგადოება — საქართველო“ (OSGF);**
**5. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI);**
**6. „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ (TI);**
**7. ასოციაცია „კივიტას გეორგიკა“; 8. ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების ქსელი;**
**9. სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი; 10. სათემო განვითარების ცენტრი;**
**11. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI);**
**12. კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC);**
**13. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC); 14. ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC);**
**15. სამოქალაქო საზოგადოების კვლევისა და განვითარების ცენტრი; 16. მწვანე ალტერნატივა;**
**17. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG);**
**18. ფონდი „ლიბერალური აკადემია თბილისი“; 19. საზოგადოებრივი დამცველი;**
**20. მწვანე კავკასია; 21. გორის საინფორმაციო ცენტრი;**
**22. ფონდი „ტასო“; 23. საერთო სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო“;**
**24. დემოკრატ მესხთა კავშირი.**

# „სახეზეა მოქალაქეების სეგრეგაციული აღქმა“

**არასამთავრობო ორგანიზაციები პარლამენტს და საქართველოს მთავრობას მოუწოდებენ ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა, რომელიც ქვეყანაში უახლოეს მომავალში უნდა დაიწყოს, არ შეაჩერონ. მათი განმარტებით, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსთან დაკავშირებული მოსაზრებები, რომ რეფორმის განხორციელების შემთხვევაში სეპარატიზმი და ქვეყნის დაქუცმაცებაა მოსალოდნელი, უსაფუძვლოა და ამით გარკვეული პირები არიან დაინტერესებული.**

„სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორი **ზაურ ხალილოვი** მიიჩნევს, რომ სეპარატიზმის საფრთხეზე საუბარი არგუმენტების გარეშე დიდი ხანია მიმდინარეობს:

„როცა რაღაც თეორიას ავრცელებ, მას საფუძველი უნდა ჰქონდეს, ან კონკრეტული ფაქტები უნდა არსებობდეს. რეალურად, დღეს რასაც ვუყურებთ, რეგიონებში ამის საფრთხე ნამდვილად არ არსებობს. აქედან გამომდინარე, თუ არგუმენტებს იტყვიან, მაშინ შესაძლოა, კიდევ დავსხდეთ და დავილაპარაკოთ. ზოგადად ის, რომ საზოგადოებაში ეთნიკური უმცირესობების მიმართ ნდობა ძალიან დაბალია, ეს გასაგებია და სხვა საკითხია. წლების განმავლობაში ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ეს ბარიერი გადავლახოთ. ხელისუფლების მხრიდანაც გადაიდგა ნაბიჯები და საინტეგრაციო პროექტები განხორციელდა. რეალურმა თვითმმართველობამ, სადაც კი სეპარატიზმის საფრთხე იდგა, ეს საკითხი მეორე პლანზე გადაწია. თუ ადგილობრივი თვითმმართველობა ძლიერი იქნება, ძალებს, რომლებიც დამოუკიდებლობაზე ლაპარაკობდნენ, საქმის კეთების საშუალებას მისცემს და სეპარატიზმის სურვილს არ გააღვივებს. დღეს რეგიონებში, სამწუხაროდ, ძალიან ბევრი სოციალური პრობლემა ეთნიკურში გადაჰყავთ, რადგან მათ ჰგონიათ, რომ ეს ეთნიკური უმცირესობების პრობლემაა, რადგან არსებობს ენობრივი ბარიერი. მივცეთ ამ ადამიანებს იმის საშუალება, რომ საკუთარი სოფლის გზა, ბაღი, სკოლა ან ნებისმიერი ინფრასტრუქტურული პროექტი თავადვე მოაგვარონ და გარწმუნებთ, რომ არანაირი სეპარატიზმის საფუძველი აღარ დარჩება. ეს საშუალება უნდა მივცეთ. აბა, რა ვუყოთ ეთნიკურად დასახლებულ რაიონებს, ღობე შემოვავლოთ? თუ ვუთხრათ ამ ადამიანებს, რომ არ გვინდა ჩვენს ქვეყანაში რომ იცხოვროთ, თქვენგან მუდმივად საფრთხე გვაქვს და ქვეყნიდან წადითო. სტატისტიკურ მონაცემებს გეტყვით: ბოლო 3-4 წლის განმავლობაში სტუდენტების რაოდენობა გაიზარდა; ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ უფრო მეტი ახალგაზრდა ჩაერთოს ინტეგრაციის პროცესში; დადიან სახელმწიფო ენის შესწავლის კურსებზე; ყველა ცდილობს ქართულ სკოლებში მიიყვანონ ბავშვები და ინტეგრირება მოხდეს, მაგრამ თუ მაინც არ ვენდობით მათ, მაშინ ეს გულწრფელად უნდა ვუთხრათ. სეპარატიზმის საფრთხეზე ერთხელ და ორჯერ არ თქმულა, როცა მიწის რეფორმა განხორციელდა და მიწები საკუთრებაში გადაეცათ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, ერთი ამბები იყო — წაიღებენ სომხები და აზერბაიჯანელები ამ მიწასო, სად უნდა წავიღოთ? ის არგუმენტი, რომ ეთნიკური ნიშანი უკვე საფრთხეს ქმნის, აბსურდია. მაშინ ეს ადამიანები არც ჯარში გავუშვათ, არც ძალოვან და ადგილობრივ სტრუქტურებში მუშაობის უფლება მივცეთ,“ — აცხადებს ხალილოვი.

მისივე თქმით, „როცა ჩვენ კოდექსის ცალკეული თავების გაუმჯობესებაზე უნდა ვზრუნავდეთ, დღეს უკვე საუბარი იმაზე მიდის, გვჭირდება თუ არა საქართველოში თვითმმართველობა“.

„რაც შეეხება რეფორმას, ამაზე საუბარი 90-იანი წლებიდან მიდის და ყველა თანხმდება, რომ თვითმმართველობა ქვეყნისთვის საჭიროა, მაგრამ რა ფორმით და როგორ განხორციელდება ეს რეფორმა, ეს სხვა საკითხია. ჩემთვის ამ კოდექსში ბევრი საკითხი ღიაა და რამდენიმეზე კიდევ მიდის დისკუსია. მზად ვართ იყოს ადეკვატური დებატები გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, მაქსიმალურად ბევრი ადამიანი და სხვადასხვა ინსტიტუციები ჩაერთოს ამ პროცესში. ჩემი აზრით, ნამდვილად იყო გამჭვირვალე პროცესი, რეგიონებშიც გაიმართა შეხვედრები, მაგრამ სეპარატიზმზე საუბარმა სიტუაცია შეცვალა. რაც შეეხება ჩვენს შენიშვნებს და რეკომენდაციებს, ეს უკვე დაიდო და ახლა ხელისუფლების გადასაწყვეტია რამდენად გაითვალისწინებს. ერთ-ერთი საკითხი გუბერნატორის ინსტიტუტია. ჩემთვის ის უფრო მისაღები იქნებოდა, რომ გუბერნატორი არჩევითი ყოფილიყო, სხვადასხვა მუნიციპალიტეტების საკრებულოს მიერ არჩეული, რაც მეტად დამოუკიდებელ თვითმმართველობას შექმნიდა. ამასთან, ბევრი ნიუანსია გასათვალისწინებელი, მათ შორის, ფინანსური და ადამიანური რესურსები. ეს ყველაფერი უნდა გაითვალოს და შემდეგ დაიწყოს რეფორმა. ჩვენ ვხვდებით, რომ ამ საკითხის ფორსირება არ შეიძლება,“ — აცხადებს ხალილოვი.

„მრავალეროვანი საქართველოს“ ხელმძღვანელი **არნოლდ სტეპანიანი,** ზაურ ხალილოვის მსგავსად, აღნიშნავს, რომ სეპარატიზმის საფრთხეებზე საუბარი არარეალურია და ამით კონკრეტული ჯგუფები არიან დაინტერესებული.

„კონკრეტულად სეპარატიზმთან დაკავშირებით, ერთი კარგი მაგალითი შემიძლია მოგიყვანოთ და მთავრობამ ამაზე მიპასუხოს. თუ მთავრობა საუბრობს იმაზე, რომ ასოცირებული პარტნიორობის ხელშეკრულების რატიფიცირების შემდეგ ჩვენ ცალი ფეხით ევროპაში ვართ და ეს საკმაოდ სერიოზული ბერკეტია იმისთვის, რომ ოსებმა და აფხაზებმა აქეთ გადმოიხედონ, ჩვენს ნავში ჩასხდნენ, რატომ ფიქრობენ იმას, რომ სხვა ეთნიკურ უმცირესობებს გაუჩნდებათ სურვილი (რომელიც საქართველოს მოქალაქეა, უკანასკნელი 23 წლის მანძილზე სამჯერ ჰქონდა სეპარატიზაციის საშუალება), მაინცდამაინც ახლა დაადგნენ ამ გზას?! იმ ხალხს შეეკითხონ, რა უნდათ, საბაყო პერიფერიაზე ცხოვრება თუ ევროპაში შესვლა? რა თქმა უნდა, ერთმნიშვნელოვანი პასუხი იქნება. მერეც, არანაირი სეპარატიზმის საფრთხე არ არსებობს რეგიონებში, იმის გამო, რომ ასე მოაზროვნე ხალხი არ არის, ყველა ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ცხოვრობს, ამასთან, არცერთი ჩვენი მეზობლის ინტერესებში, რომელსაც შეუძლია დისონანსი შეიტანოს ქართულ რეალობაში, სეპარატიზაცია არ შედის, რომ ამისთვის ძალები დააფინანსონ. კიდეც რომ მოუნდეთ, ძალიან გაუჭირდებათ. ამიტომ, ძალიან მიკვირს როცა ხელისუფლება ამაზე საუბრობს. ამასთან, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, შსს-ს მართლაც ორი შენიშვნა ჰქონდა ამ კანონპროექტთან დაკავშირებით, რომელთაგან ერთ-ერთი სწორედ ეთნიკურად არაქართული წარმოშობის საქართველოს მოქალაქეებისთვის „ზედმეტი“ უფლებების მინიჭებას ეხებოდა. ამაში იგულისხმებოდა ის, რომ სეპარატიზმის საფრთხე არსებობს. თუმცა სხვა რეგიონების უმრავლესობასთან მიმართებაში ეს არგუმენტი მიზეზად არ იყო ნახსენები. სახეზეა მოქალაქეების სეგრეგაციული აღქმა. ეს ჩვენი რეალობაა და ამას ბევრი არგუმენტით ვეწინააღმდეგები. ის ადამიანები, რომლებიც ამაზე საუბრობენ, შსს-ში სააკაშვილის ძველი კადრებია, რომლებიც წინა ხელისუფლების დროსაც საუბრობდნენ ამაზე, მაგრამ მაშინ გარკვეული საფრთხეები არსებობდა. შემდეგ, როცა ყველა პროცესი თავის თავზე მოირგეს და ყველაფრის გაკონტროლება დაიწყეს, საფრთხე აღარ ყოფილა. ეჭვი მაქვს, რომ ამ ადამიანებს პირადი ინტერესი აქვთ. ეჭვი მაქვს და ეს ინფორმაციები უნდა გადავამოწმო, ამიტომ, ჯერჯერობით, მათი დასახელებისგან თავს შევიკავებ. ისინი დღესაც აკონტროლებენ ამ რეგიონებში სიტუაციას, ისე არა, როგორც ადრე, მაგრამ მაინც ახერხებენ კონტროლს და დიდი ეჭვი მაქვს, რომ პირადი ინტერესები აქვთ,“ — აცხადებს სტეპანიანი.

მისივე თქმით, რაც შეეხება თავად რეფორმას, მისი განხორციელების შემთხვევაში, „ადამიანებს ნამდვილად ექნებათ იმის საშუალება, რომ თავიანთი სოფლის პრობლემა ადგილზე გადაწყვიტონ და არა თბილისში“: „მთავარი ამ ეტაპზე სწორედ ეს არის. ეს ბაზა თუ შეიქმნა და პრეცედენტი დავუშვით, რომ სეპარატიზმის საფრთხე არ არის, შემდეგ ყველა ერთად შევძლებთ სხვა საკითხებზე საუბარს. ზოგადად, რეფორმაზე შემიძლია ის ვთქვა, რომ ერთ-ერთი საუკეთესო პოლონეთის მაგალითია. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ კარგი კანონპროექტი დაიწერა, პოლონური მოდელისგან მაინც შორს ვართ. კიდევ ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი, რომ ნამდვილი თვითმმართველობა გვქონდეს, ეს არის რაღაც შუალედური ვარიანტი, თუმცა ესეც კარგია,“ — აცხადებს სტეპანიანი.

**მოამზადა საქართველოს მედია მონიტორინგის ცენტრმა (GMMC),**
**ფონდის „ღია საზოგადოება — საქართველოს“ მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში.**
**ტექსტში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ფონდის მოსაზრებებს.**

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

## მილოცვა

ქალბატონ **თამარ ღვინიანიძეს** — ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორს, ტკ. „რიონის“ გენერალურ დირექტორს საუკეთესო სურვილებით ვულოცავ შობა-ახალ წელს:

**ა. ნაპირელი**

*P.S.*

სახვალიო განძს საწუთროს
ცოდნის ტაძრის სანთლით
სწირავს,
მერე გვიხმობს სასაუბროდ
მამაპაპურ ბუხრის პირას.
შებმულია უღელს ცალად,
მაგრამ სული ისე კივის,
რომ უბეში სიმწრით მალავს
ოთარაანთ ქვრივის ტკივილს.

## კვირის ჰოროსკოპი

**ვერძი:** ცხოვრების დამატებითი სახსრების მოძიებისთვის აქტიური საქმიანობა შედეგს მოიტანს.

**კურო:** ელოდეთ სიურპრიზებს. ახლობლები დაგეხმარებიან ახალი სამსახურის დაწყებაში.

**ტყუპები:** მაქსიმალურად მოახდინეთ საკუთარი ინტელექტუალური უნარის რეალიზებას.

**კირჩხიბი:** მაღალი ენერგეტიკული პოტენციალი აქტიური საქმიანობისაკენ გიბიძგებთ.

**ლომი:** სასიყვარულო ფრონტზე ყურადღება და სიფრთხილე გმართებთ, რადგან დაუფიქრებლად ნათქვამ სიტყვას ბევრი რამის გაფუჭება შეუძლია.

**ქალწული:** თქვენი პარტნიორების ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ მოექცევით. ისინი შეეცდებიან კონფლიქტში ჩაგითრიონ. უმჯობესია, რომ მათ არ აჰყვეთ.

**სასწორი:** საინტერესო პიროვნებასთან შეხვედრა გელით, რომელიც თქვენს პირად ცხოვრებაში ცვლილებებს შეიტანს.

**მორიელი:** გამოიჩინეთ მოთმინება, სიფრთხილე გმართებთ კოლეგებთან ურთიერთობისას. თითოეული ნაბიჯი კარგად გაიაზრეთ და შემდეგ გადადგით.

**მშვილდოსანი:** ნუ დაკარგავთ დროს ურთიერთობების გარკვევაზე. ეცადეთ, იყოთ დამთმობი, სიჯიუტემ შეიძლება, საყვარელი ადამიანი დაგაკარგვინოთ.

**თხის რქა:** თქვენი შემოქმედებითი წარმოსახვა შექმნის თვალსაჩინო, დაუვიწყარ სახეებს. ამ მიზნით შეგიძლიათ ეწვიოთ მეგობრებს.

**მერწყული:** საქმეები დიდ დროს წაგართმევთ. თუმცა ცოტა დასვენებასაც მოახერხებთ. სიურპრიზი გელოდებათ.

**თევზები:** სამსახურში წარმატებას მიაღწევთ. წინსვლისა და წარმატების პერიოდი გიდგათ. რითაც მაქსიმალურად უნდა ისარგებლოთ.

**წინა ნომრის კროსვორდის პასუხები**

**თარაზულად:** 3. კუნძული. 5. ამური. 6. თმა. 8. ბოა. 9. მაგია. 11. ალტინგი.
**შვეულად:** 1. წნორი. 2. ლუი. 3. კამბოჯა. 4. იზმაილი. 7. საინი. 10. პტი.



# ფესტივალ „ნიღაბი 2013“-ის ორგანიზატორთა რჩეული ქუთაისელი ზანდა გოტიაშვილი გახდა

**დასრულდა მოყვარულ სტუდენტურ თეატრთა საერთაშორისო ფესტივალი „ნიღაბი 2013“. ფესტივალი გასულ წელს დაფუძნდა და ორგანიზატორთა განცხადებით, ტრადიციულ ხასიათს მიიღებს. „ნიღაბი 2013“ იმითაც იყო გამორჩეული, რომ მასში მონაწილეობა აზერბაიჯანულმა და თურქულმა თეატრებმაც მიიღეს.**


ქუთაისის წერეთლის უნივერსიტეტის თეატრალური დასი ფესტივალზე „ნიღაბი“

ფესტივალი 10 დღე გაგრძელდა, რომლის მიზანს მოყვარული თეატრალების გამოვლენა და დაჯილდოვება წარმოადგენდა. 9 სხვადასხვა უნივერსიტეტის თეატრალური დასის წარმოდგენილ სპექტაკლებს 10-კაციანი ჟიური აფასებდა. ფესტივალს ორგანიზება თბილისის მერიამ და მოყვარულ სტუდენტურ თეატრთა ასოციაციამ გაუწიეს.

ფესტივალ „ნიღაბი 2013“-ის ერთ-ერთი მონაწილე ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრალური დასი იყო. რომელმაც კახა გოგოლაშვილის რეჟისორობით სცენარისტ ლევან კვატაშიძის პიესა „ამაშია საქმე“ წარმოადგინეს. სპექტაკლმა ჟიურის და მაყურებლების მოწონება დაიმსახურა. დასის ერთ-ერთი წევრი კი, ამავე უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტი, ზანდა გოტიაშვილი, ფესტივალის ორგანიზატორთა რჩეული გახდა. ახალგაზრდა მსახიობი მიღებულ ჯილდოსა და დასის სამომავლო გეგმებზე გაზეთ „*P.S.*“-სთან საუბრობს.

„ჩვენმა დასმა მონაწილეობა მიიღო ფესტივალში „ნიღაბი 2013“. წარმატებით გამოვედით და ჟიურის მოწონებაც დავიმსახურეთ. ეს ჩვენთვის პირველი წარმოდგენა იყო ქალაქგარეთ. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დაფინანსებით ჩვენ შევძელით, ფესტივალის დასკვნით ღონისძიებაშიც მიგვეღო მონაწილეობა, რისთვისაც მადლობას ვუხდით უნივერსიტეტს.


ზანდა გოტიაშვილი

მინდა აღვნიშნო, რომ წარდგენილი ვიყავი სამ ნომინაციაზე. ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, ჩვენი დასის სახელით ფესტივალის გახსნით ღონისძიებაში მივიღე მონაწილეობა. ნამდვილად არ ველოდი, რომ ორგანიზატორთა რჩეული გავხდებოდი, მაგრამ როდესაც ჩემი სახელი და გვარი გამოაცხადეს, სიხარული ვერ დავმალე. თეატრიდან წასვლას ვგეგმავდი, მაგრამ მივხვდი, რომ კარგ საქმეს ვაკეთებ, რომელსაც ხედავენ და აფასებენ, ამიტომ ფესტივალზევე გამოვაცხადე, რომ მე თეატრში ვრჩები.

რაც შეეხება პრიზებს, გადმომცეს გრანპრი, კომპანია „სარაჯიშვილის“ ექსკლუზიურად დამზადებული კონიაკი, ფესტივალის ემბლემიანი მაისური და ჭიქა. ეს საჩუქრები ჩემთის კარგი მოტივაციაა სამომავლო წარმატებისთვის.

რაც შეეხება დასს, ვგეგმავთ, რომელიმე ცნობილი მწერლის ცნობილი პიესა დავდგათ, იქამდე კი სპექტაკლით „ამაშია საქმე“ უნივერსიტეტის წინაშე წარვსდგებით. გვინდა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას იმედი არ გავუცრუოთ.

***

**ფესტივალში 9 უნივერსიტეტის თეატრმა მიიღო მონაწილეობა. გამარჯვებულები 10 ნომინაციაში გამოვლინდნენ.**

ქალის ეპიზოდური როლისთვის გრანპრი თამარ ჟღენტმა მიიღო. მამაკაცის ეპიზოდური როლისთვის ბათუფან ერკუტი დაჯილდოვდა. ქალის კომედიური როლის შესრულებისთვის ნინო აბშილავამ გაიმარჯვა, ამავე ნომინაციაში თამაზ თამაზაშვილი დაჯილდოვდა. ქალის და მამაკაცის ტრაგიკული როლების შესრულებისთვის ქეთევან ოქრუაშვილი და ამბაკო ბრეგაძე დაჯილდოვდნენ. რაც შეეხება ქალის როლის საუკეთესო შესრულებას, თამარ ფერაძე დაჯილდოვდა, მამაკაცის როლის საუკეთესო შემსრულებლად კი ალექსანდრე შენგელია დასახელდა. ფესტივალის აღმოჩენა მიხეილ კოხოძე გახდა.

ორგანიზატორთა განცხადებით, ფესტივალი ტრადიციულ სახეს მიიღებს და მომავალში ფართომასშტაბიანი იქნება.

**ნესტან ჩაგელიშვილი**




შეადგინა ალეკო ნემსაძემ

## ვინ არის ფოტოზე?



პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე



უშიშროების საბჭოს მდივანი **ირინე იმერლიშვილი ლუიზა ლაკერბაიამ** ამოიცნო.

## რას დაარქმევდით?


სოსო ჯაჭვლიანი

დაგვიკავშირდით:
- **(0 431) 24-45-46, 24-82-25.**
- **psnews27@gmail.com**

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე


ვლადიმერ პუტინი

ვლადიმეროვიჩ, ცოცხები გვაქვს, დავგავოთ და დავადგენთ სერაფიმე საროველის გზას, დროა!

**შაქრო გაბელაშვილი**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 3. რა არის მტკვარი? 5. ცურვის ერთ-ერთი სტილი. 6. ბედი, იღბალი. 8. მომღერალი ვანესა... 9. ქალაქი საქართველოში. 11. მდინარე ახლო აღმოსავლეთში.

**შვეულად:** 1. ... შარტავა. 2. ძველი ჩინელი ფილოსოფოსი .. ცზი. 3. ქალაქი და პორტი საფრანგეთში. 4. ქვეყანა აფრიკაში. 7. სანიავებელი. 10. მარსის თანამგზავრთა რაოდენობა.



## წიგნების მაღაზია ქიმერიონი

qimerioni.ge

**ყოველგვარი ფასნამატის გარეშე შეიძინეთ:**

- ქართული თუ უცხოური ლიტერატურა;
- კლასიკოსი და თანამედროვე მწერლების ნაწარმოებები;
- მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული საბავშვო შემეცნებითი და გასართობი წიგნები;
- სამეცნიერო ხასიათის გამოცემები;
- ენციკლოპედიები;
- ლექსიკონები;
- ჟურნალ-გაზეთები

წიგნები შენ გელოდება!

ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „პოპული“, წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“.
ტელეფონი: 790 927 927; (431) 274 474

## იმერი

IMERI TEXTILE COMPANY

### სამკერვალო კომპანია

**სამკერვალო კომპანია „იმერი“ მრავალწლიანი წარმატებული საქმიანობითა და გამოცდილებით გამორჩეული ბრენდია როგორც ქართულ, ისე – უცხოურ ბაზარზე.**

ქუთაისსა და თბილისში გაიხსნა **„იმერის“** საფირმო მაღაზიები, სადაც მომხმარებელს სთავაზობენ ქალისა და მამაკაცის პალტოებს, მანტოებსა და ქურთუკებს.
წარმოდგენილი პროდუქცია უმაღლესი ხარისხისაა და შექმნილია მსოფლიო ბრენდების ნიმუშებზე, ევროპული ტექნოლოგიით.
კომპანია „იმერი“ ემზადება ზაფხულის კოლექციის შესაქმნელად, რომელიც საფირმო მაღაზიებში გაიყიდება!

„იმერის“ საფირმო მაღაზიების მისამართი და საკონტაქტო მონაცემები:
**ქუთაისი** – ასათიანის ქ. №119;
ტელეფონი: 0431 22 07 08

**თბილისი** – მიცკევიჩის ქ. №6;
ტელეფონი: 551 555 163



## მოდის სახლი „მარიონელა“

### ექსკლუზიური სადედოფლო და საღამოს კაბები



თბილისი, მ. ჯავახიშვილის (ყოფილი ელბაქიძის დაღმართი) №12
**ტელ.**: +995 (432) 292-05-04

ქუთაისი, ა. პუშკინის ქუჩა №1
**ტელ.**: +995 (431) 25-31-21

**ელ-ფოსტა:**
marionela@mail.ru

www.marionela.ge




## აია

### ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების კომპანია

**ლიმონათი „აია“** – ნატურალურ ნაყენსა და შაქარზე დამზადებული 11 სახეობის ლიმონათი:
„მსხალი“, „ლიმონი“, „ტარხუნა“, „ფორთოხალი“, „ატამი“, „დაფნა“, „ალუბალი“, „ნაღები“, „საფერავი“, „მარწყვი“, „შოკოლადი“.

„აიას“ ლიმონათი მზადდება თავად ქარხანაში დამუშავებული ცოცხალი ხილის ნაყენისაგან.

**ლუდი „აია“** – უმაღლესი ხარისხის ალაოსა და უნიკალური წყაროს წყლისაგან დამზადებული ქუთაისური ლუდი.
ხარშვის პროცესს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ხელმძღვანელობენ. მზადდება უახლესი ტექნოლოგიით.
**მიირთვით „აიას“ პროდუქცია! იგი აბსოლუტურად უსაფრთხოა!**

**მისამართი:**
ქუთაისი, ნიკეას ქუჩა №8
**ტელეფონი:**
(0 431) 22 01 94;
22 30 31; 22 40 05



## ცხვირის ქირურგიული ცენტრი

**თემურ ძიძიგური** — ცხვირის და ყურის ქირურგი

**კეთდება ოპერაციები:**

1. გრძელ, კეხიან, ჩამოშვებულ, განიერნესტოიან, გაღუნულ ცხვირზე.
2. ცხვირის ძგიდეზე, ცხვირის ნიჟარებზე და პოლიპებზე.
3. დიდი ზომის და გადმოწეულ ყურის ნიჟარებზე.
4. მკურნალობენ ცხვირიდან სუნთქვის გაძნელებას.

**მისამართი:** ქუთაისი, სულხან-საბას ქ. №81 (ავანგარდის დასახლების ბოლოს)

**ტელეფონი:** (0 431) 22-31-02; **მობ.**: (599) 53-69-64; (599) 14-08-13; ბინის (0 431) 24-57-63.



## სამშენებლო კომპანია ტობე



ბეტონისა და რკინა-ბეტონის ქარხანა **„ტობე“ აწარმოებს:**

მაღალი სიმტკიცის, სერთიფიცირებულ მ-150; მ-200; მ-250; მ-300; მ-400 მარკის სასაქონლო ბეტონს; შემოღობვის ფილებს, საკედლე პანელებს, საძირკვლის, ზეძირკვლის, სარტყლის, საკედლე, წვრილსაკედლე, ტიხრის ბლოკებს.

ზღუდარებს, რიგელებს, კოლონებს, საკანალიზაციო ჭებს.
ყველა სახის, წინასწარ დაძაბავ კონსტრუქციებს.
შეკვეთები სრულდება დროულად და ხარისხიანად, დამკვეთთან შეთანხმებით.

**მისამართი:** ქუთაისი, ავტომშენებლის ქუჩა №4

**ტელეფონი:**
(0 431) 23-60-60; 26-74-37

**მობილური:**
(5 77) 78-06-70; (5 71) 55-55-01

## ქუთაისის ხის გადამამუშავებელი ქარხანა

### კავკასუს როუდ პროჯექტ

**სიახლე!**
სააგარაკე მობილური სახლი (63 მ²):
მისაღები – 21,2 მ²
საძინებელი – 9,4 მ²
საძინებელი – 12 მ²
სამზარეულო – 4,65 მ²
სანკვანძი – 2,3 მ²
ღია აივანი – 8,96 მ²

ფასი: 1 მ² – 750 ლარი (ტრანსპორტირების ჩათვლით).

**მისამართი:** ქ. ქუთაისი, ნიკეას ქუჩა №21
**ტელეფონი:** (0 431) 23 43 34; 23 64 02; 599 22 88 27



ქართული თხილის გადამამუშავებელი საწარმო

## „იმერნათი“

ექსპორტი ევროპის ქვეყნებში;

მოხალული თხილის გული შიდა ბაზრისთვის;

ადგილობრივი თხილის შესყიდვა მისაღებ ფასში.



იმერნათი
თხილის გადამამუშავებელი საწარმო




**მისამართი:**
ქუთაისი, ნიკეას ქ. №21

**ტელეფონი:** 555 10 56 62
E-მაილი: dat-chap77@mail.ru

## „ოქროს ხელები“

### ლითონის ჭედური ნაკეთობები

**„ოქროს ხელები“** აწარმოებს ყველა სახის რკინის ნაკეთობას:
ჭიშკრებს, კარებს, გისოსებს, დარაბებს, მოაჯირებს, ქოლგებს, ჟალუზებს, ტახტს, მაგიდას, სკამს, ბუხრის ინვენტარს.

დახვეწილი დიზაინი, მრავალფეროვნება, სიძველის ეფექტი.
პროდუქციის ხარისხს განაპირობებენ ორნამენტის მხატვრულ დამუშავებაში გამოცდილი სპეციალისტები.
ვემსახურებით ადგილზე მიტანით საქართველოს ნებისმიერ რეგიონში
**მისამართი:** ქუთაისი, ნიკეას ქუჩა №18
**ტელეფონი:**
593 113 318; 555 377 366
www.cheduri.weebly.com